

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

**ნინო ტარიელაშვილი**



**ნათიც მსაჯულთა შერჩევის სპეციფიკა**

**სისხლის სამართლის პროცესში**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნინო ალღემაშვილი**

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

**სარჩევი**

შესავალი..... 4

თავი 1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის კანონისმიერი საფუძვლები ..... 5

    1.1 ბრალდებულის უფლება აირჩიოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო..... 5

    1.2 ნაფიც მსაჯულად ყოფნის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები ..... 7

    1.3 ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების კანონით დადგენილი საფუძვლები ..... 11

თავი 2. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომისთვის მზადება და კანდიდატების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება ..... 15

    2.1 შერჩევის სხდომამდე სტადია ..... 15

    2.2 ნაფიც მსაჯულთა კითხვარი ..... 15

    2.3 შევსებული და უკან დაბრუნებული კითხვარების ანალიზი..... 17

თავი 3. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა: ე.წ. Voir Dire ..... 20

    3.1 Voir Dire-ს ზოგადი დახასიათება ..... 20

    3.2 ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიზანი და დინამიკა ..... 23

    3.3 ბრალდებისა და დაცვის მხარის როლი და ფუნქციები შერჩევის პროცესში..... 27

    3.4 კანდიდატებისთვის დასმული კითხვების სახეები მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით..... 32

    3.5 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების ღირებულებების დადგენა და სისტემატიზაცია ..... 35

    3.6 მსაჯულობის კანდიდატების დადგენილი ღირებულებების შეფასება ..... 39

    3.7 შერჩეულ კანდიდატებში ე.წ. „გაბატონებული ჯგუფების“ ფორმირების საშიშროება და მისი თავიდან აცილების შესაძლო გზა ..... 41

    3.8 ნაფიც მსაჯულთა შერჩევა დადგენილი წესებიდან გადახვევით: არასტანდარტული მეთოდების გამოყენებით და მისი ეფექტურობა..... 44

თავი 4 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა აცილება..... 48

    4.1 აცილების სახეები და მისი მნიშვნელობა..... 48

        4.1.1 თვითააცილება ..... 48

4.1.2 ნათუცი მსაჯულობის კანდიდატთა დასაბუთებელი აცილება.....	50
4.1.3 მსაჯულობის კანდიდატთა დაუსაბუთებელი აცილება .....	51
4.2 მსაჯულობის კანდიდატთა ინტეგრაცია ნათუც მსაჯულთა შემადგენლობაში.....	54
თავი 5. ნათუცი მსაჯულობის კანდიდატთა მიუკერძოებლობის გარანტიები .....	55
5.1 კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები .....	55
5.2 მედიის გავლენა ნათუც მსაჯულთა შერჩევის პროცესზე .....	59
დასკვნა.....	62
ბიბლიოგრაფია: .....	63

## შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოდგენს ერთგვარ სიახლეს და გამოწვევას ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის. მან საქართველოში ფუნქციონირება სულ რაღაც 9 წლის წინ დაიწყო, როცა ქართული სისხლის სამართლის პროცესი ინკვიზიციური პრინციპიდან შეჯიბრებითობის პრინციპზე გადავიდა. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლში გაკეთებული ჩანაწერით, ხოლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირებისა და მათ მიერ საქმის განხილვის კონკრეტული წესები კი, მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში.

ცნობილია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხშირად მოხსენიებულია, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად, რაც აიხსნება მასში საზოგადოების მაქსიმალურად ყველა სექტორის წარმომადგენლის ინტეგრაციით. სხვადასხვა ასაკის, სქესის, რელიგიის, საქმიანობისა თუ პროფესიის და, ზოგადად, განსხვავებული ადამიანების ჩართულობა სასამართლო განხილვაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით განაპირობებს მოტივებისა და ფაქტების შეფასების კრიტერიუმების მრავალფეროვნებას, რაც, თავის მხრივ, იძლევა საქმის უფრო სამართლიანად და სწორად გადანწყვეტის შესაძლებლობას.

სამართლიანი სასამართლოს უფლება განმტკიცებულია, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ისე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. მართალია, აღნიშნულ კონვენციაში არსად არ არის გაკეთებული რაიმე მითითება საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის თაობაზე, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისი არაერთი გადანწყვეტილებით უშვებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მისი არსებობა არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, გამოდის, რომ აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის უფლება ვრცელდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვაზეც, რაც ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არჩევის შემთხვევაშიც ანიჭებს მისი საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ტერმინ „სამართლიან განხილვას“, მასში ადამიანის ევროპული სასამართლო მოიაზრებს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე კი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სამართლიანად, თუ ნაფიცი მსაჯულები საქმეს განიხილავენ ობიექტურად და მიუკერძოებლად.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ლოგიკურად იბადება შემდეგი კითხვა, რომ ის წესები და მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ხდება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირება, მართლაც განაპირობებს თუ არა ობიექტურ და მიუკერძოებელ სასამართლო პროცესს, რისი გამოკვლევაც მოხდება წინამდებარე ნაშრომში. ასევე, ნაშრომში გამოვლენილი იქნება კანონმდებლობაში არსებული პრობლემები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რათა მოხდეს მათი გამოსწორება და საქართველოში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი იყოს უფრო ეფექტური და სრულყოფილი.

## **თავი 1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის კანონისმიერი საფუძვლები**

### ***1.1 ბრალდებულის უფლება აირჩიოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო***

ბრალდებულის უფლებას, რომ მისი საქმე განხილულ იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ის სათავეს იღებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომლის კონსტიტუციაშიც მკაფიოდ არის განცხადებული, რომ ყველა ბრალდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიუკერძოებელი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვით (The sixth Amendment).

ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ნაფიც მსაჯულთა უფლების არსებობას კატეგორიულად უარყოფს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი მცდელობა საპირისპიროს მტკიცებისა უშედეგოდ იქნა დასრულებული.<sup>1</sup> ევროპული სასამართლოს მიერ საკითხისადმი ასეთ მიდგომას საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში გაკეთებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ განიხილება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უმთავრესი ასპექტი სისხლისსამართლებრივი ბრალის განსაზღვრისას“<sup>2</sup>, აქედან გამომდინარე - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების არსებობაზე საუბარიც კი ზედმეტია. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მაინც აღიარებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიულობის განმტკიცების პროცესში და გარეშე პირთა ჩართვას საქმის განხილვაში მიიჩნევს მათ მიერ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასამართლოს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოშიც გაზიარებული უნდა იქნას ევროპული სასამართლოს პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების აღიარება წინააღმდეგობაში მოვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან და გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობას.

მითითება იმის თაობაზე, რომ ბრალდებულს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გაკეთებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმადაც, თუ ბრალდებული უარს არ განცხადებს, საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

---

<sup>1</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ.9

<sup>2</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ.9-10

ბრალდებულის შესაძლებლობა აირჩიოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენელია, რადგან მისი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებზე და მხოლოდ მათი ჩადენის შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა ბრალდებულს, რომ თანხმობა განაცხადოს მისი საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვაზე.

### **1.2 ნაფიც მსაჯულად ყოფნის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები**

მართალია, როგორც ითქვა - ნაფიცი მსაჯულები წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელ წევრთა ერთობლიობას, მაგრამ საინტერესოა ის კრიტერიუმებიც, რომლებიც მათ აერთიანებთ, ანუ საერთო აქვთ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი მოიცავს ყველა იმ მოთხოვნას, რაც საჭიროა პირს ჰქონდეს, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ნაფიც მსაჯულად სასამართლო განხილვაში. აქ იგულისხმება ყველა ის მინიმალური მოთხოვნა, რაც უნდა აერთიანებდეს თითოეულ პოტენციურ კანდიდატს, რათა ისინი გახდნენ ნაფიცი მსაჯულები. ეს მოთხოვნებია:

1. განსაზღვრული ასაკის ქონა: იმისთვის, რომ პირი არჩეული იქნას ნაფიც მსაჯულად, საჭიროა, რომ ის აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილი ასაკის მინიმალურ ზღვარს. ეს ზღვარი საქართველოში არის 18 წელი. უფრო კონკრეტულად - პირი საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული უნდა იყოს 18 წელს გადაცილებულად, ანუ ნაფიც მსაჯულად გახდომისთვის აუცილებელია, რომ პირის ასაკი გადაცილებული იყოს 18 წელს. 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიან სიას სახელმწიფო სერვისების სააგენტო ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ივლისისა, უგზავნის შესაბამის სასამართლოს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, ასაკის დადგენა ხდება ავტომატურად. საინტერესოა, როგორი მიდგომაა ამ მხრივ სხვაგან. არგენტინის კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, 14.543 კანონის ბუნოს აირესის საჯარო და კერძო თანამშრომლობის 338-ე მუხლში (მეორე პრიმა, ქვეთავი 2) განსაზღვრულია, რომ პირის ასაკი უნდა იყოს 21-დან 75 წლამდე, რათა მან

მონაწილეობა მიიღოს პროცესში ნაფიც მსაჯულად (Ley 14543 art. 338 bis). აღნიშნული ასაკის მინიმალურ ზღვართან დაკავშირებით ზოგიერთი იურისტის მიერ გამოთქმულია კრიტიკა, რომ ის მეტისმეტად დაბალია. ისინი თავიანთ მოსაზრებას ასაბუთებენ იმ ფაქტით, რომ - რადგან არგენტინის კონსტიტუციით მოსამართლედ გახდომისთვის დადგენილი ასაკის მინიმალური ზღვარი არის 25 წელი, ის ნაფიცი მსაჯულის შემთხვევაშიც იგივე უნდა იყოს, რადგან მათ ერთნაირი ფუნქციების შესრულება უნევთ: ორივე მათგანი ვალდებულია გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობა ან ბრალეულობა. აქედან გამომდინარე, მათთვის ასაკობრივი მოთხოვნაც ერთნაირი უნდა იყოს<sup>3</sup>. ეს მოსაზრება, საქართველოს შემთხვევაში ვერ იქნება გაზიარებული, რადგან საქმის განხილვისას ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვებათ წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი კუთხით შეფასება, ხოლო პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით ყოველგვარ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე. აქედან გამომდინარე, მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულის ფუნქციები ერთმანეთისგან გამიჯნულია, რაც, თავისთავად, მათდამი ერთნაირი კრიტერიუმების დაწესების მოთხოვნას უსაფუძვლოს ხდის. გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯულების შერჩევისას ყურადღება მახვილდება ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: მათი გონებრივი შესაძლებლობები, ფაქტების აღქმისა და გაანალიზების უნარი, ლოგიკურად მსჯელობის შესაძლებლობა და სხვ. შესაბამისად - საბოლოოდ, მაინც ხდება ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებსაც უნარი აქვთ მიიღონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება, ამიტომ - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილმა ასაკის მინიმალურმა ზღვარმა რაიმე პრობლემა არ უნდა შექმნას სათანადო გადაწყვეტილების მიღებაუნარიანი ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესში და არც ქმნის პრაქტიკულადაც.

2. სისხლის სამართლის პროცესის ენის ცოდნა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილია, რომ სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური,

---

<sup>3</sup> Penalver T., „Juicio por jurados: Veredicto de Culpabilidad y Determinacion de la Pena”, Editorial Jusbaire, Buenos Aires, 2018, pag.205

შესაბამისად, ნაფიც მსაჯულად ყოფნისთვის აუცილებელია, რომ პირმა იცოდეს ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყოფნის შემთხვევაში - აფხაზური. ეს მოთხოვნა ლოგიკურია, რადგან ადამიანი ფაქტიურად ვერ იქნება კვალიფიციური ნაფიცი მსაჯული იმ ენის ცოდნის გარეშე, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რადგან ის ვერ შეძლებს აზრის გამოტანას და, მითუმეტეს - გადაწყვეტილების მიღებას. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში მოთხოვნილია ენის ცოდნა, მაგრამ არაფერი არ არის მითითებული იმის შესახებ, თუ რა დონეზე უნდა იცოდეს პირმა სისხლის სამართლის პროცესის ენა. მაგალითად, არგენტინის 14.543 კანონის ბუენოს აირესის საჯარო და კერძო თანამშრომლობის 338-ე მუხლში (Ley 14543 art. 338 bis) პირდაპირ არის მითითებული, რომ ნაფიც მსაჯულად გახდომისთვის საჭიროა ეროვნულ ენაზე წერისა და კითხვის ცოდნა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსაჯულობის კანდიდატებს უწევთ როგორც გაგზავნილი კითხვარების შევსება წერილობით, ისე კითხვებზე ზეპირად პასუხის გაცემა, ხოლო ნაფიც მსაჯულად არჩევის შემთხვევაში კი, გარკვეული გარემოებების შეფასება და ანალიზი, ენის ცოდნა საჭიროა იმ დონეზე, რომ პირს შეეძლოს ამ ენაზე სათანადოდ წერა, კითხვა, საუბარი, მისი გაგება - ისე, რომ მოახერხოს აზრის გამოტანა. ამიტომ, უმჯობესი იქნება თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამის ნაწილშიც დაკონკრეტებული იქნება ენის სათანადო დონეზე ცოდნის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კორდობას პროვინციაში ენის ცოდნასთან ერთად ნაფიც მსაჯულად გახდომისთვის მოთხოვნილია განათლების განსაზღვრული დონის ან კონკრეტული ინტელექტუალური ხარისხის ქონა - პირი, რომელმაც არ დაასრულა სავალდებულო საბაზისო განათლება ვერ გახდება ნაფიცი მსაჯული (Ley 26206 art. 16). მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირს მსგავს მოთხოვნას არ უყენებს, მაგრამ მისი ინტელექტუალური დონისა და მიღებული განათლების შემოწმება ხდება გაგზავნილი კითხვარებითა და შერჩევის სხლომაზე დასმული კითხვებზე გაცემული პასუხებიდან გამომდინარე. ამიტომ, იმის მიუხედავადაც, რომ კანონი ამას პირდაპირ არ ითხოვს, პრაქტიკაში მაინც ხდება ისეთი მსაჯულობის კანდიდატების

არჩევა, რომელთა განათლებისა და აზროვნების დონე შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომ მათ შეძლონ საქმის ანალიზი და გადანწყვეტილების მიღება.

3. აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრება: პოტენციური მსაჯულობის კანდიდატი უნდა ცხოვრობდეს აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში იმის შესაბამისად, თუ საქართველოს რომელ ნაწილში მდებარე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში იმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), რაც გულისხმობს იმას, რომ თუ პირი ცხოვრობს დასავლეთ საქართველოში - მას არ მოუწევს იმ პროცესში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის მიღება, რომელიც ტარდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სასამართლოში და პირიქით. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადანწყვეტილების მიღებისას ადგილი ჰქონდა მსჯელობას იმის თაობაზე, რომ გეოგრაფიული არეალი არ ყოფილიყო ასეთი ფართო და მხოლოდ იმ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები პირებისთვის მიეცათ საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის უფლება, რომელშიც მდებარეობდა თავად სასამართლო, რაც შეამცირებდა მსაჯულობის კანდიდატთა მიერ მოვალეობის შესრულებისას სასამართლოს მიერ განეულ ხარჯებსაც. თუმცა, მეორეს მხრივ, ტერიტორიული არეალის ასეთი მასშტაბებით ზრდა ხელს შეუწყობდა ისეთი ნაფიცი მსაჯულების შერჩევას, რომელსაც საქმესთან შედარებით ნაკლები შემხებლობა ექნებოდა მისი შინაარსობრივი დეტალების ცოდნის კუთხით და, შესაბამისად, მათი არაობიექტურობისა და მიკერძოების რისკიც უფრო დაბალი იქნებოდა. არჩევანი გაკეთდა უკანასკნელის სასარგებლოდ და დღეს აღნიშნული პუნქტი ასეთი ფორმულებითაა მოცემული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

4. შეზღუდული არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები: თუ პირს შეზღუდული აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობებიდან რომელიმე ან ორივე ერთად - ის ვერ შეძლებს იმ მოვალეობებისთვის თავის გართმევას, რაც დაკისრებული აქვს ნაფიც მსაჯულს და, შესაბამისად, ის ვერ მიიღებს ნაფიც

მსაჯულად მონაწილეობას საქმის განხილვაში, ანუ აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა რაიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობის ქონა ხელისშემშლელი ფაქტორია კონკრეტული პირისთვის, რომ მან სრულყოფილად შეასრულოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობა მას არავითარ დაბრკოლებას არ უქმნის საქმის გარემოებების სათანადოდ გამკვლევასა და შეფასებაში, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ქონა ვერ გახდება მისთვის ნაფიც მსაჯულად ყოფნაზე უარის თქმის მიზეზი. ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოს სასამართლოთა სისტემა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ის ვერ უზრუნველყოფს მათ სისხლის სამართლის პროცესში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობას ყოველგვარი შეფერხების გარეშე. აქედან გამომდინარე, მისასალმებელი იქნება, თუ განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები ამ მიმართულებით.

ეს არის ის ზოგადი მოთხოვნები, რაც უნდა ჰქონდეს ყველა პოტენციური ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს, რათა ისინი შემდგომში გახდნენ ნაფიცი მსაჯულები - კანონით გათვალისწინებული სხვა გარემოებებთან ერთად.

### ***1.3 ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების კანონით დადგენილი საფუძვლები***

საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიადად. პირველ კატეგორიაში მოიაზრება ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობისას პირი ვერცერთ შემთხვევაში ვერ გახდება ნაფიცი მსაჯული. ასეთ გარემოებებს შეიძლება ეწოდოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების უპირობო საფუძვლები. ხოლო, მეორე კატეგორია მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში თავად კონკრეტულ პირს ეძლევა შესაძლებლობა განაცხადოს უარი ნაფიც მსაჯულად მონაწილეობაზე საქმის განხილვაში, ანუ პირის ნაფიც მსაჯულად ყოფნა/არყოფნის საკითხი მის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული.

ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების უპირობო საფუძვლები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც პირი ვერ გახდება ნაფიცი მსაჯული, თუ:

- იგი განსაზღვრული პროფესიის წარმომადგენელია, ანუ არის პროკურორი, ადვოკატი, გამომძიებელი, მოქმედი სამხედრო მოსამსახურე, პოლიციელი, ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი. აღნიშნული ფაქტორი, რა თქმა უნდა, ხელის შემშლელი იქნება ობიექტური და სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფისთვის და ვერ აღმოფხვრის კონკრეტული პირის მიკერძოების არსებულ რისკს. ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ 2016 წლის 24 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, იურისტის პროფესიის მქონე ადამიანებს, რასაკვირველია, ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიების გარდა, მიეცათ ნაფიც მსაჯულად გახდომის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ კანონმდებელმა მოსამართლესაც დართო ნაფიცი მსაჯულის სახით საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების ნება, რადგან არავითარი საკანონმდებლო შეზღუდვა ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მაინც სადავოა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება მოსამართლისთვის ნაფიც მსაჯულად ყოფნის საშუალების მიცემა, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავისი არსით, სწორედაც რომ, გარეშე, არაპროფესიონალ პირთა მონაწილეობას გულისხმობს საქმის განხილვაში და თუ მოსამართლესაც ექნება შესაძლებლობა, რომ იყოს ნაფიცი მსაჯული, მაშინ ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად იბადება კითხვა - საერთოდ ხომ არ ეკარგება არსი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობას? აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მიღებული პრაქტიკაა და იქ ხშირად შევხვდებით მოსამართლეებს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის რიგებში.<sup>4</sup> რა თქმა უნდა, მოსამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობა ვერ აღმოფხვრის მისი სხვა ნაფიც მსაჯულებზე ერთგვარი გავლენის მოხდენის რისკს და აქედან

<sup>4</sup> უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე <https://www.latimes.com/archives/la-xpm-2001-jun-03-me-6028-story.html> (განახლებულია 09.07.2019)

გამომდინარე, მხოლოდ მაშინ იქნება მისი ნაფიც მსაჯულად ყოფნა გამართლებული, თუ სხვა ნაფიც მსაჯულებს არ ეცოდინებათ მისი პროფესიის შესახებ.

- ის წარმოადგენს პროცესის მონაწილეს აღნიშნულ საქმეში, ანუ ის არის მოწმე, თარჯიმანი, ადვოკატი ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის III-VI თავებით გათვალისწინებული პირი. აღნიშნული მოთხოვნა ყოველმხრივ გამართლებულია, რადგან ასეთი პირების ნაფიც მსაჯულად ყოფნა პრაქტიკული და სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფის კუთხითაც მიზანშეუწონელია.
- მისი საქმიანობა დაკავშირებულია რელიგიასთან, ანუ ის წარმოადგენს სასულიერო პირს. აღსანიშნავია, რომ კანონი, რომელიც იძლევა სასულიერო პირის განმარტებას არ არსებობს, ამიტომ, იმის დადგენა, თუ კონკრეტულად ვინ მოაზრება ტერმინ „სასულიერო პირში“ რეალურად შეუძლებელია, რაც პრაქტიკაში პრობლემებს ქმნის. ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ასეთ დროს შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ, არის საქართველოსა და მართმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრება მართმადიდებლური ეკლესიის როლი და ადგილი ჩვენს ქვეყანაში (საქართველოს კონსტიტუციის მ-8 მუხლი). აქედან გამომდინარე, სასულიერო პირებად შეგვიძლია მოვიაზროთ მხოლოდ მართმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლები. ხოლო რაც შეეხებათ სხვა აღმსარებლობის მქონე მსახურებს, ისინი მოცემული მდგომარეობით ვერ ჩაითვლებიან სასულიერო პირებად, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან არსებული მდგომარეობა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელ სასულიერო პირებს არათანაბარ პირობებში აყენებს და პრაქტიკაშიც ერთგვარ გაურკვევლობას ქმნის. ამიტომ, უმჯობესია, თუ ვითარების გამოსწორების მიზნით კანონმდებლობაში შევა შესაბამისი ცვლილებები და განისაზღვრება იმ პირთა წრე, ვინც მოიაზრება აღნიშნულ ტერმინში.

- მისთვის დამახასიათებელია შემდეგი ფაქტორები: ის ბრალდებულია, ნასამართლევი ან ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებულია და ამ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წელზე ნაკლებია გასული, რაც ხელს უშლის მის მიერ ნაფიც მსაჯულის მოვალეობის სრულყოფილად შესრულებას.

განხილულ საფუძვლებთან ერთად ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების სხვა უპირობო საფუძვლები მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ელ ნაწილში (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც, პირი ვერ მიიღებს ნაფიც მსაჯულად მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ არ იყო კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული, თუ იგი ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის და კანონით განსაზღვრული სხვა პირის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია, ან ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს. ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობის დადასტურებისას უმაღვე მოხდება კონკრეტული პირის საქმიდან ჩამოცილება.

რაც შეეხება საქმის განხილვაში ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებების მეორე კატეგორიას, ის განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით, რომლის თანახმადაც - პირს უფლება ექნება უარი თქვას ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან სახეზე იქნება რომელიმე მათგანი ერთად ან ცალ-ცალკე: თუ მას უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე ექნება საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა მიღებული, შეასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს, თუ ის ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მისცემს ამის საშუალებას ან თუ ის იქნება 70 წელს გადაცილებული. აღნიშნული ფაქტორების არსებობისას პირი თავად გადაწყვეტს იყოს თუ არა ნაფიცი მსაჯული და მათი არსებობა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით.

## **თავი 2. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომისთვის მზადება და კანდიდატების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება**

### **2.1 შერჩევის სხდომამდე სტადია**

რაც უფრო ადრე დაინყებენ მხარეები შერჩევის სხდომისთვის მზადებას, მით უკეთესი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მათ საშუალებას აძლევს შერჩევის სხდომამდე გარკვეული პერიოდით ადრე გაეცნონ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების ვინაობას და მიიღონ საჭირო ინფორმაცია მათ შესახებ, როგორც ეს ხდება საქართველოში, რაც მხარეებს უფრო მეტ დროს უტოვებს მსაჯულობის კანდიდატების პიროვნული მახასიათებლების გასაცნობად და, შესაბამისად, შერჩევის სხდომისთვის მომზადების პროცესსაც, შეძლებისდაგვარად, უადვილებს. თუმცა, ეს საკითხი ყველა ქვეყანაში ამგვარად არ არის დარეგულირებული. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შერჩევის სხდომამდე სტადია ცალკე არ არის გამოყოფილი და, შესაბამისად, მხარეების ერთადერთი საშუალება კანდიდატების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად არის მათთვის დასმული კითხვები მხოლოდ და მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობის დროს.<sup>5</sup> ეს ყოველივე კი, თავისთავად, მხარეებისთვის შერჩევის პროცესს უფრო ართულებს, რადგან მათ შედარებით ნაკლები დრო აქვთ სასურველი კანდიდატების გასაცნობად და ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობის დასაკომპლექტებლად.

### **2.2 ნაფიც მსაჯულთა კითხვარი**

შერჩევის სხდომამდე ნაფიც მსაჯულებზე ინფორმაციის მოპოვების საუკეთესო საშუალება არის ნაფიც მსაჯულთა კითხვარი. ის, შეიძლება ითქვას, რომ არის ერთგვარი კითხვების ერთობლიობა, რომელიც ეგზავნება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს შერჩევის სხდომამდე არანაკლებ 20 დღით ადრე. კითხვარს ამტკიცებს მოსამართლე (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კითხვარის დამტკიცება ხდება ცალკე სასამართლო სხდომაზე, რომელშიც მხარეებიც იღებენ მონაწილეობას. სწორედ, მხარეები განსაზღვრავენ იმ

---

<sup>5</sup> Sanjurjo Rebollo B., „Jurados en USA y en Espana: dos contenidos distintos para una misma expresion”, Dykinson, Madrid, 2004, pag.14

კითხვებს, რომლებიც შევა კითხვარში. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია იმის შესახებ, რომ კითხვარის დამტკიცება ხდება მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე, მაგრამ აღნიშნულ მუხლში არააფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ამისთვის ცალკე სხდომა ტარდება. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, უკეთესი იქნება, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის სათანადო ნაწილში გაკეთდება შესაბამისი შენიშვნა ამის თაობაზე.

როგორც ითქვა, ნაფიც მსაჯულთა კითხვარში კითხვების ფორმულირების ძირითადი ტვირთი ეკისრება ბრალდებისა და დაცვის მხარეს, ამიტომ, უმჯობესია, თუ ისინი შეტერდებიან ისეთ კითხვებზე, რომლებზედაც პასუხის გაცემა არ მოითხოვს ზედმეტ განვითარებას და კანდიდატებს შეუძლიათ ბევრი ფიქრის გარეშე, მარტივად გასცენ მათ პასუხი<sup>6</sup>, რადგან, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას, რომელიც მოითხოვს საკითხის ჩაღრმავებასა და ანალიზს მსაჯულობის კანდიდატები მალე იღლებიან და არასრულ პასუხებს სცემენ, რაც ეფექტურ შედეგს ვერ იძლევა. ასეთ შემთხვევაში კითხვარის გამოყენება აზრს კარგავს და მხოლოდ ფორმალურ სახეს იძენს.

ნაფიც მსაჯულთა კითხვარის მიზანი, რასაც საკითხის არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, არა მხოლოდ კანდიდატების შესახებ მარტივად და სწრაფად ინფორმაციის მოპოვებაა, არამედ უზრუნველყოფს სენსიტიურ თემებზე გულწრფელი პასუხების მიღებას და კანდიდატებიც უფრო გაბედულები არიან ასეთი გზით პასუხების გაცემისას.<sup>7</sup> ეჭვგარეშეა, რომ ასეთ მეთოდს ამ დროს უფრო დიდი უპირატესობა აქვს, ვიდრე მხარეთა პირისპირ სხვების თანდასწრებით პასუხების გაცემისას და მხარეებმა კანონით მინიჭებული ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ.

---

<sup>6</sup> C. Barry Montgomery, Bradley C. Nahrstadt, „Worth the effort: Some thoughts on Jury Selection”, Trial Tactics, 2007, p. 38

<sup>7</sup> Nicora Guillermo, “Selección de jurados desde cero”, en Revista Pensamiento Penal, edición nro. 165, 3/3/2014 (ხელმისაწვდომია აქ: <http://inecip.org/wp-content/uploads/Selecci%C3%B3n-de-jurados-desde-cero-Nicora-1.pdf>)

### **2.3 შევსებული და უკან დაბრუნებული კითხვარების ანალიზი**

ნათუცი მსაჯულობის კანდიდატები ვალდებული არიან უპასუხონ კითხვებს და 5 დღის განმავლობაში დაუბრუნონ მოსამართლეს შევსებული კითხვარები (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დაბრუნებული კითხვარები მოითხოვს ანალიზს. ეს პროცესი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

1. კითხვარების ანალიზი სასამართლოში
2. კითხვარების ანალიზი მხარეების მიერ

სასამართლოში კითხვარების ანალიზი, როგორც წესი, ტექნიკურ ხასიათს ატარებს. ამ ეტაპზე ხდება ისეთი საკითხების შემოწმება როგორიცაა: გაგზავნილი კითხვარებიდან რამდენი შეივსო, რამდენად სწორად იქნა შევსებული და ა.შ, ანუ, როგორც ვხედავთ, სასამართლოში არ ხდება კითხვარების ღრმა, შინაარსობრივი ანალიზი და ის ტექნიკურ ფარგლებს არ სცდება. აქედან გამომდინარე, დაბრუნებული კითხვარები სასამართლოში მათი ანალიზის შედეგად შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. დაბრუნებული და შევსებული სწორად: ეს არის იდეალური ვარიანტი, რაშიც იგულისხმება, რომ კანდიდატს ყველა ზოგადი მოთხოვნის დაცვით აქვს შევსებული კითხვარი, ანუ - ყველა კითხვას აქვს გაცემული პასუხი, სიტყვები არ არის გამოტოვებული, აზრი გადმოცემულია გასაგებად და სხვ.
2. დაბრუნებული შევსების გარეშე: აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ვერ ხერხდება შესაბამისი მსაჯულობის კანდიდატისთვის კითხვარის გადაცემა, რათა მან პასუხი გასცეს კითხვებს. მიზეზი, თუ რატომ ვერ მოხერხდა კანდიდატისთვის კითხვარის გადაცემა შეიძლება იყოს სხვადასხვა და ესენია: მსაჯულობის კანდიდატის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნა, კანდიდატის გარდაცვალება და სხვ.
3. არ დაბრუნებული, მაგრამ სავარაუდოდ გადაცემული: მართალია, კითხვარების შევსება მსაჯულობის კანდიდატების მოვალეობაა და ამაზე მითითებულია კიდეც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, მაგრამ

შესაძლებელია მსგავს შემთხვევასაც ჰქონდეს ადგილი, როცა კანდიდატი არ ავსებს და არ აბრუნებს უკან კითხვარს. ასეთ დროს ზოგიერთ ქვეყანაში მიმართავენ შემდეგ გზას, რომელიც გამოიხატება ახალი კითხვარების გაგზავნასა და შესაბამისი კანდიდატის ცნობიერების ამაღლებაში, რომ კითხვარების შევსება მისი მოქალაქეობრივი ვალდებულებაა და ის უნდა შეასრულოს.<sup>8</sup> საქართველოში ასეთ დროს უფრო მკაცრი ბერკეტი გამოიყენება და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაკისრებული კითხვარის შევსების ვალდებულების არ შესრულება ისჯება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>1</sup>-ე მე-12 მუხლის მე-3 ნაწილით<sup>9</sup>, რაც იწვევს ასეთი შემთხვევების შემცირებას.

4. დაბრუნებული მაგრამ არასათანადოდ შევსებული: როდესაც კანდიდატი პასუხს სცემს გაურკვეველად, სიტყვების გამოტოვებით, სხვა ადგილას - ისე, რომ შეუძლებელია აზრის გამოტანა. ამერიკის ზოგიერთ შტატში ასეთ დროს ხდება არასწორად შევსებული კითხვარების დაბრუნება მსაჯულობის კანდიდატისთვის იმ კითხვებზე მითითებით, რომელსაც საჭიროა კანდიდატმა სწორად უპასუხოს. კანდიდატს ეცნობება, ასევე, კითხვარის დაბრუნების ვალდებულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ კანდიდატებზე, რომლებიც შესაძლოა გახდნენ ნაფიცო მსაჯულები. ხოლო თუ არსებობს ნაფიცო მსაჯულობის მოვალეობისგან განთავისუფლების საფუძველი, მაგალითად, კანდიდატი უთითებს, რომ მას სათანადოდ არ შეუძლია ინგლისურად წერა, საუბარი ან კითხვა, რაც საჭიროა კითხვარის შესავსებად, მას აღარ მოეთხოვება შესწორებების შეტანა შევსებულ კითხვარში, რადგან ის ჩაითვლება უკვე განთავისუფლებულად აღნიშნული მოვალეობის შესრულებისგან.<sup>10</sup>

---

<sup>8</sup> Perez N. M., Fernandez A. R., Martinez S. D., „El tribunal del jurado en Estados Unidos, Francia y Espana: Tres modelos de participacion en la administracion de justicia. Implicaciones para la educacion del ciudadano”, Editorial Universidad de Granada, 2002, pag.351

<sup>9</sup> ავტ. კოლექტივი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი”, გამომცემლობა „მერიდიანი”, 2015, გვ. 660

<sup>10</sup> Perez N. M., Fernandez A. R., Martinez S. D., „El tribunal del jurado en Estados Unidos, Francia y Espana: Tres modelos de participacion en la administracion de justicia. Implicaciones para la educacion del ciudadano”, Editorial Universidad de Granada, 2002, pag.340

სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ რეგულაციას არ ითვალისწინებს და ასეთ შემთხვევებში მხარეები ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების კეთილსინდისიერებაზე არიან დამოკიდებულნი, რაც დადებითად ვერ იქნება შეფასებული.

ამ საკითხის განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კითხვარების შევსებამდე უნდა განისაზღვროს - არიან თუ არა პოტენციური ნაფიცი მსაჯულები ინდივიდუალურად კვალიფიციურები განთავისუფლებისთვის ანუ თითოეული მსაჯულობის კანდიდატის შემთხვევაში უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა ნაფიცი მსაჯულობის მოვალეობისგან განთავისუფლების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლით განსაზღვრული უპირობო საფუძველი. თუ ეს ასეა და მართლაც არსებობს რაიმე აღნიშნული გარემოება - სასამართლო აღარ შეიტანს მათ სახელებს მსაჯულობის კანდიდატთა საბოლოო სიაში და, შესაბამისად, მათ აღარ მოუწევთ არც კითხვარის შევსება. კანდიდატები ვალდებულნი არიან უწყების მიღებიდან 2 დღის ვადაში აცნობონ სასამართლოს იმ გარემოების შესახებ, რომელიც ათავისუფლებს მათ მსაჯულობის მოვალეობის შესრულებისგან (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მე-6 ნაწილი) და წარმოადგინონ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. „ამასთან, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ სასამართლოსთვის მისი მსაჯულობასთან შეუთავსებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან შეგნებულად მცდარი ინფორმაციის წარდგენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (სსკ-ის 367<sup>2</sup>)”<sup>11</sup>.

სასამართლო ყველა იმ კანდიდატის შევსებულ კითხვარს, რომელიც არ განთავისუფლდა ნაფიცი მსაჯულობის მოვალეობის შესრულებისგან, უგზავნის მხარეებს შევსებული კითხვარების მიღებიდან 5 დღის ვადაში (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მსაჯულობის კანდიდატების ანალიზი ხდება უკვე მხარეების მიერ. სასამართლოსგან განსხვავებით - როცა ხდება კითხვარების ტექნიკური კუთხით შეფასება, მხარეები კითხვარების

<sup>11</sup> ავტ.კოლექტივი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015, გვ. 660

ანალიზს ახდენენ შინაარსობრივად, რაც გულისხმობს იმას, რომ აანალიზებენ კანდიდატების მიერ გაცემულ პასუხებს, რაც, თავისთავად, ეხმარებათ მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში, თითოეული კანდიდატის შეფასებაში მათი საქმის თეორიიდან გამომდინარე და, შესაბამისად, შერჩევის სხდომისთვის მომზადებაში.

### **თავი 3. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა: ე.წ. Voir Dire**

#### ***3.1 Voir Dire-ს ზოგადი დახასიათება***

იმ მოქალაქეთა ერთობლიობის განსაზღვრა, ვისაც მიენდობა საქმის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება - გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის სახით - არის ძალიან რთული საქმე, არა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შერჩევისთვის სწორი მეთოდოლოგიის არჩევის კუთხით, არამედ ისეთი სამართლებრივი პრინციპების, როგორცაა: კანონის წინაშე თანასწორობა, პროპორციულობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სხვ.- ნაფიცი მსაჯულებისთვის სწორად გადაცემის კუთხითაც, რაც, საბოლოოდ, უნდა დასრულდეს ისეთი კანდიდატების არჩევით, რომლებიც სრულად იზიარებენ ჩამოთვლილ პრინციპებს და მათით ხელმძღვანელობენ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისას.

სწორედ, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა არის ის ეტაპი, რომლის საშუალებითაც მხარეები მიიღებენ მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას კანონით განსაზღვრული რაოდენობით, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვაში მიიღებს მონაწილეობას. ლიტერატურაში შერჩევის სხდომა ხშირად მოხსენიებულია სახელწოდებით „Voir Dire”. ტერმინი ფრანგულია და ქართულად ითარგმნება, როგორც - ილაპარაკე სიმართლე<sup>12</sup>, რაც ზუსტად შეესაბამება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის ამ ეტაპის დანიშნულებას. სწორედ, შერჩევის სხდომაზე ხდება მხარეთა პირველი უშუალო შეხვედრა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებთან და მათი გაცნობა, აქედან გამომდინარე, ის ამ მხრივაც გამორჩეულია თავისი

<sup>12</sup> ავტ. კოლექტივი, „სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევებში”, თბილისი, 2012, გვ. 58

მნიშვნელობით. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა, როგორც წესი, ღიაა, თუმცა, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მისი დახურვის შესახებ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის პირველი ნაწილი). შერჩევის სხდომამდე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს ეგზავნებათ უწყება, რომელშიც მითითებულია სხდომის დანების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულობა. აღნიშნული უწყება ეგზავნებათ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა წინასწარ შედგენილი 300 კაციანი სიის არაუმეტეს პირველ 150 კანდიდატს რიგითი ნომრების მიხედვით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მე-5 ნაწილი). იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში მონვეულ კანდიდატთაგან გამოცხადებული კანდიდატების რაოდენობა 50-ზე ნაკლები იქნება, მოსამართლე მაინც უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა და ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შერჩევის სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ შეტყობინების ვალდებულებას კანონი სასამართლოს მხარეებისთვისაც ავალდებულებს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილი). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არც ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების და არც მხარეების შემთხვევაში არ არის განსაზღვრული თუ რამდენი ხნით ადრე უნდა მიანდოს მათ სასამართლომ აღნიშნული ინფორმაცია. ლოგიკურად ეს უნდა იყოს გონივრული ვადით ადრე, რათა დასახელებულმა პირებმა შეძლონ სხდომისთვის სათანადოდ მომზადება და მასზე დასწრება.

შერჩევის სხდომაზე დასწრება მხარეთა უფლებაა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ის ჩატარდეს რომელიმე მხარის მონაწილეობის გარეშე. თუმცა, შერჩევის სხდომაში მონაწილეობის მიღება პირდაპირ შედის ორივე მხარის ინტერესებში, რადგან ხდება იმ 12 პირის არჩევა, რომელმაც უნდა მიიღოს განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილება და მასში მონაწილეობის არ მიღება პირდაპირ აისახება მხარეთა მიერ მიღწეულ შედეგებზე მოცემულ კონკრეტულ საქმეში. შერჩევის სხდომის დასაწყისში მოსამართლე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს წარუდგენს

სასამართლო შემადგენლობას და მხარეებს, კანდიდატებს განუმარტავს მათი მოწვევის მიზანს, მიანვლის ინფორმაციას, თუ რომელი საქმის განხილვა მოუწევთ ნაფიც მსაჯულად არჩევის შემთხვევაში და გააცნობს წარდგენილი ბრალდების შინაარსს, განუმარტავს კანონს, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის განხილვისას და მიანვლის ინფორმაციას კანონით გათვალისწინებულ სხვა პროცედურულ საკითხებზე (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).

შერჩევის სხდომაზე მხარეები ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებზე ინფორმაციას იღებენ მათთვის კითხვების დასმით, რაც მათ ეხმარებათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში იმის თობაზე, თუ ვინ აღმოჩნდება ნაფიც მსაჯულთა რიგებში. მათ ეძლევათ შესაძლებლობა თავად დაუსვან კითხვები კანდიდატებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, რაც გაურკვეველი დარჩა კითხვარების ანალიზის შედეგად და მიიღონ ამომწურავი პასუხები. კითხვებს სვამს ჯერ ბრალდების, ხოლო შემდეგ დაცვის მხარე. შეკითხვების დასასმელად და დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსამართლე მხარეებსა და მსაჯულობის კანდიდატებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. მოსამართლეს, ასევე, შეუძლია მხარეებს მოსთხოვოს მისთვის იმ შეკითხვების წინასწარ წარდგენა, რომელთა დასმასაც აპირებენ მსაჯულობის კანდიდატებისთვის. თავის მხრივ, მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს მისთვის დასმულ კითხვებს და წარმოადგინოს კანონით განსაზღვრულ ყველა საჭირო ინფორმაცია მისი პიროვნების დასადგენად (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).

სწორედ, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა არის ის მომენტი, როცა ნათელი უნდა მოეფინოს მსაჯულობის კანდიდატთა იდეოლოგიას, ცრურწმენებს და, ზოგადად, ნებისმიერ საკითხს, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მათი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ხარისხს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმ ტექნიკის სწავლა, თუ რა გზებით უნდა მოხდეს სასამართლოს სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევა კონკრეტული მხარის მიზნების მისაღწევად. საჭიროა რეპეტიცია და პრაქტიკა იმის წინასწარ დასადგენად, თუ როგორ მოიქცნენ მხარეები უკვე უშუალოდ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. ამაში იგულისხმება თითოეული მხარის მიერ სხვადასხვა შესაძლო

სცენარის დადგმა და განვითარება სხვადასხვა როლით, რომელსაც შემდეგ სასამართლო სხდომაზე გამოიყენებს.<sup>13</sup> რა თქმა უნდა, მსაჯულობის კანდიდატებთან გასაუბრება არ შეიძლება გაიგივებულ იქნას მონმის დაკითხვასთან. ის მოითხოვს შესაბამის ცოდნასა და სპეციალური უნარების არსებობას, რაც იმ ადამიანებისკენ, ანუ მსაჯულობის კანდიდატებისკენ იქნება მიმართული, რომელთაგანაც საჭიროა ინფორმაციის მიღება. რაც უფრო კვალიფიციური იქნება აღნიშნული უნარები და ცოდნა, მხარეებს უფრო დიდი შესაძლებლობა ექნებათ მიაღწიონ საქმის განხილვაში ოპტიმალური ნაფიცი მსაჯულის ინტეგრაციას. მხარეებმა უნდა შეისწავლონ ის მეთოდები, რაც გამოიყენება სხდომის ამ ეტაპზე, რადგან ეს არის საქმეში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი საფუძველი.

### ***3.2 ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიზანი და დინამიკა***

ზემოთ მიმოვიხილეთ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის ძირითადი მახასიათებლები, თუმცა საინტერესოა იმის დადგენაც - თუ რა წარმოადგენს შერჩევის სხდომის მთავარ მიზანს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მხარეებს შერჩევის სხდომაზე არ აქვთ შესაძლებლობა გადაწყვიტონ ვინ დარჩება ნაფიც მსაჯულთა რიგებს შორის, არამედ, პირიქით - ისინი წყვეტენ, თუ ვინ არ დარჩება. ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება, რომ საქმე ეხება არა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომას, როგორც ის მოხსენიებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით და ამას აკეთებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, არამედ მსაჯულობის კანდიდატთა ე.წ. „განთავისუფლების სხდომას“.<sup>14</sup> ეს მოსაზრება გარკვეულწილად არ არის მოკლებული ჭეშმარიტებას, რადგან მართლაც მხარეები შერჩევის სხდომაზე ცდილობენ გამოკვეთონ ის ფაქტორები, რომლებიც კანდიდატებს შეუძლიან ხელს ნაფიცი მსაჯულობის მოვალეობის განხორციელებაში და ამის მიხედვით აყენებენ აცილების შუამდგომლობას, ანუ - იცილებენ მათთვის არასასურველ კანდიდატებს. აქედან გამომდინარე, უცხოელ იურისტთა ნაწილი თვლის, რომ შერჩევის სხდომის მიზანი და,

<sup>13</sup> Broeder D., „Voor Dire examination: An empirical study”, Southern California Law Review, n.38, 1965, p.507

<sup>14</sup> Penna Cristian D., „Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag. 835

შესაბამისად, მხარეთა ფუნქციები მოსმენის ამ ეტაპზე შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგნაირად: „ბრალდებისა და დაცვის მხარეები არ ესწრებიან მსაჯულთა შერჩევის სხდომას მათთვის შესაფერისი პოტენციური ნაფიცი მსაჯულების მოსაძებნად, არამედ, საპირისპირო კუთხით - ესწრებიან იმისთვის, რომ დაითხოვონ ისინი, ვინც მათი აზრით შესაძლოა მავნე აღმოჩნდეს მათი საქმისთვის.“<sup>15</sup>

იმისთვის, რომ დადგინდეს კანდიდატის პოტენციური მავნებლობა საჭიროა მათ მიერ გამოთქმული პოზიციების შეფასება ცრურწმენებში, შეხედულებებში, იდეოლოგიურ მიდგომებში და სხვ. აღნიშნული პოზიციების შემოწმებას კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კითხვების დასმა უზრუნველყოფს. კითხვების დასმისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას, რომ ყველა ადამიანს აქვს უკვე ჩამოყალიბებული პოზიცია სხვადასხვა საკითხთან მიმართებით და ამ საკითხის გადამწყვეტისას ყველას ახასიათებს გარკვეული ხარისხის სუბიექტურობა, რაც მხოლოდ ამ პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი.<sup>16</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რაიმე მოვლენის მიმართ კანდიდატს შეიძლება ჰქონდეს ყველასგან განსხვავებული მიდგომა. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც უშუალოდ სამართლებრივ საკითხებს, ისე საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა ფაქტორს და თუ რამდენადაა განსხვავებული კანდიდატის მოსაზრება დადგენილისგან და რამდენად განსხვავებულად აფასებს ის ამა თუ იმ მოვლენას - არის ის საფუძვლები, რის მიხედვითაც იზომება თითოეული კანდიდატის სუბიექტურობის ხარისხი. სწორედ, ამ სუბიექტურობის ხარისხის შემოწმება წარმოადგენს მხარეების მოვალეობას თითოეული კანდიდატის შემთხვევაში, რასაც, თავის მხრივ, საბოლოო ჯამში, მივყავართ მსაჯულობის კანდიდატის გულწრფელობის ხარისხის დადგენისკენ, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ყოველ კანდიდატზე გადამწყვეტილების მიღებისას. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმება ნებისმიერი იურისტი, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა განსახილველ საქმეებზე მუშაობის მინიმუმ მცირე გამოცდილება მაინც აქვს. გულწრფელობის ხარისხში იგულისხმება ის, თუ რამდენად გულწრფელია

<sup>15</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pp. 835-836

<sup>16</sup> Velasco P. de P., „La investigacion psicologica de la decision del jurado”, Anuario de Psicologia Juridica, n.10, 2000, pp. 69-78

კანდიდატი თავის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში, ნამდვილად იმას ამბობს თუ არა, რასაც ფიქრობს და ხომ არ არის მოქცეული სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ამ ყველაფრის გათვალისწინება მხარეებს საშუალებას აძლევს უკეთესად მოემზადონ ერთმანეთთან დაპირისპირებაში მაღალი ხარისხის მისაღწევად და, ამის საფუძველზე, მაქსიმალური შედეგის მისაღებად.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, თუ როგორ ხდება მხარეების მიერ „მავნე მსაჯულობის კანდიდატების“<sup>17</sup> გამოვლენა და შემდგომ მათი გამორიცხვა შერჩევის სხდომაზე - იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია შემდეგი მაგალითი: წარმოვიდგინოთ საქმე, რომელიც ეხება ცოლის მიერ ქმრის მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში. ასევე, გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ცოლი ქმრისგან განიცდიდა მის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივი ხასიათის ქმედებებსა და სხვა სახის უხეშ მოპყრობას, რაც გრძელდებოდა მუდმივ რეჟიმში.<sup>18</sup> მოდით განვიხილოთ და შევაფასოთ ეს საქმე თითოეული მხარის გადმოსახედიდან ცალ-ცალკე.

მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის მიზანი იქნება აღმოაჩინოს და აიცილოს იმ მსაჯულობის კანდიდატთან ყველა ისეთი, რომელიც შეეცდება ბრალდებულის მიერ ქმრისგან მიყენებული ძალადობრივი ხასიათის ქმედებების შედეგად ყოველდღიურად განცდილი ტანჯვისა თუ ტკივილის მინიმიზაციას: ანუ, ერთის მხრივ, ისეთი კანდიდატები, რომლებსთვისაც - ჩამოყალიბებული სუბიექტური შეხედულობის გამო - ქმრის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტები არ იქნება გასათვალისწინებელი და ამას მხედველობაში არ მიიღებენ საქმის ანალიზისას, ან - მეორეს მხრივ, ისინი, ვინც ქმრის მიერ ცოლისადმი ძალადობას ნორმად თვლიან და, პირიქით, უფრო მკაცრად განსჯიან ბრალდებულს მათი ამ შეხედულების გამო. სხვანაირად ფაქტიურად შეუძლებელიც კი იქნება წარმატებული დაცვის განხორციელება მოცემულ შემთხვევაში.

ხოლო რაც შეეხება ბრალდების მხარეს, მასაც მსგავსი ფუნქცია აკისრია, ოღონდ დაცვის მხარისგან განსხვავებით, მას ევალება გამოკვეთოს ყველა ის კანდიდატი,

---

<sup>17</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag. 835

<sup>18</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag. 836

რომელიც ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ ქალისადმი ძალადობის ფაქტზე, იხელმძღვანელებს ემოციებზე დაყრდნობით და არ შეეძლება ცივი გონებით შეაფასოს მომხდარი.<sup>19</sup> რეალურად იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შესაძლებელია ყოველივე ზემოთაღნიშნულის განხორციელება ნამდვილად არ არის მარტივი საქმე. მითუმეტეს, თუ მხარეების ამ მისიას დაუშვებთ იმასაც, რომ მათ უნდა დაადგინონ მსაჯულობის კანდიდატთა გულწრფელობა მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან მიმართებით ზემოაღნიშნული პოზიციების გარკვევის პარალელურ რეჟიმში, ცხადია, ვითარება საგრძნობლად რთულდება. მაგრამ თუ წარმოვიდგინოთ იდეალურ ვარიანტს - როცა ორივე მხარე დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებს, მივიღებთ შემდეგ სურათს: მოხდება უკიდურესი ხასიათის პოზიციების მქონე მსაჯულობის კანდიდატთა გამორიცხვა, ანუ, ერთის მხრივ - ისეთებისა, რომლებიც ძალადობას ამართლებენ და მხედველობაში არ იღებენ და მეორეს მხრივ - მხოლოდ ემოციური ფაქტორით მოაზროვნეებისა.<sup>20</sup> შესაბამისად, დარჩებიან მხოლოდ ნეიტრალურად მოაზროვნე კანდიდატები და ნათუც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობაში მივიღებთ ისეთ პირებს, რომლებსაც არ აქვს რადიკალური დამოკიდებულება განსახილველი საქმისადმი და, აქედან გამომდინარე, მიუკერძოებლად შეაფასებენ მოცემულ საკითხს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შერჩევის სხდომის ეს ეტაპი ორივე მხარის კონტროლით ყველაზე კარგად განაპირობებს მიუკერძოებელი სასამართლოს უზრუნველყოფას, ვიდრე სხვა მსგავსი სისტემა.<sup>21</sup> თუმცა, ეს უკვე სხვა საკითხის ფარგლებში განსახილველი თემის საგანია.

რომ დავეუბრუნდეთ თავდაპირველი მსჯელობის საგანს, რასაც წარმოადგენს ნათუც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიზნის განსაზღვრა - როგორც დასაწყისში აღინიშნა, გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მისი მიზანია ე.წ. „მავნე მსაჯულობის კანდიდატების“<sup>22</sup> საქმიდან ჩამოცილება, რადგან მხარეები რეალურად მეტს არაფერს ახორციელებენ თუ არა ამას, მაგრამ, როგორც ასევე ითქვა, ეს მოსაზრება

<sup>19</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pp. 835-836

<sup>20</sup> Velasco P. de P., „El Tribunal del Jurado desde la Psicología Social”, Ley Organica, Madrid, 1995, pag.15

<sup>21</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag.836

<sup>22</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pp. 835-836

გარკვეულწილადაა გასაზიარებელი, რადგან, მართალია, მხარეები ცდილობენ მათთვის არასასურველი კანდიდატების საქმიდან ჩამოშორებას, მაგრამ, საბოლოოდ, ეს პროცესი რეალურად მათ უტოვებს სასურველ კანდიდატებს, ანუ - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასასურველი კანდიდატების ჩამოშორების გზით ისინი იღებენ სასურველ შემადგენლობას, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს ორივე მხარისთვის მისაღებ ნაფიც მსაჯულთა 12 კაციან ჯგუფს. ასე რომ, შერჩევის სხდომაზე მიუღებელი მსაჯულობის კანდიდატების ჩამოშორება მხარეთა თვითმიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის სასურველი კანდიდატების შერჩევის ერთგვარი გზა, რაც მათ უტოვებს სასურველ კანდიდატებს. ამიტომ, მხარეთა ეს მცდელობა გამოავლინონ არახელსაყრელი კანდიდატები ვერ გახდება მთლიანად შერჩევის სხდომის მთავარი მიზნის განმსაზღვრელი, რადგან ის მხოლოდ საშუალებაა იმ ძირითადი მიზნის მისაღწევად, რასაც ორივე მხარისთვის სასურველი კანდიდატებით ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობის დაკომპლექტება წარმოადგენს.

### ***3.3 ბრალდებისა და დაცვის მხარის როლი და ფუნქციები შერჩევის პროცესში***

როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის პირველი წარდგენა პოტენციური ნაფიცი მსაჯულების წინაშე არის მნიშვნელოვანი, რადგან არ არსებობს მათზე შთაბეჭდილების მოხდენის სხვა შესაძლებლობა. თითოეული მხარე, თუ მას თავისი საქმის პროფესიონალიზმზე აქვს პრეტენზია - ყველა წინადადებას უნდა იწყებდეს ისე, რომ მსაჯულობის კანდიდატებმა მიიღონ სიმპატიით, ყოველგვარი გადამეტების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვქვათ, მხარეები პოტენციურ ნაფიც მსაჯულებს უნდა შეეგებონ კომფორტული მისაღმებით, ხაზი უნდა გაუსვან მათი მონაწილეობის მნიშვნელობაზე და არ უნდა დაავინყდეთ მათთვის მადლობის გადახდა განუელი ყურადღებისა და დახარჯული დროისთვის.<sup>23</sup> მხარეებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თითოეულმა მსაჯულობის კანდიდატმა თავი იგრძნოს თბილ გარემოში და ეს ყველაფერი არ უნდა გასცდეს ბუნებრიობის საზღვრებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მცდელობას აზრი დაეკარგება. ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ შესაძლოა მსაჯულობის კანდიდატთა უმეტესობისთვის ეს იყოს პირველი

---

<sup>23</sup> Balch R.W., Griffiths C.T., Hall E.L., Winfree L.T., „The socialization of jurors. The voir dire as a rite of passage”, Journal of Criminal Justice, n.4, 1976, p.281

შეხება სასამართლოსთან და ზოგადად სამართალთან და, სწორედ, მხარეებზეა დიდწილად დამოკიდებული როგორი იქნება მათი ეს პირველი შთაბეჭდილება.

საჭიროა იმ იდეის ხაზგასმა, რომ სასამართლო აუდიენცია ხდება არა სწავლებისთვის, არამედ სწავლისთვის.<sup>24</sup> შერჩევის სხდომაც არის სტადია, სადაც პოტენციური ნაფიცი მსაჯულები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს. მხარეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ამ პროცესში არის მსაჯულობის კანდიდატთა მიერ მოსაზრებების გამოთქმის ხელმძღვანელობა და მიმართულების მიცემა კითხვების დასმის გზით. ეს ყველაფერი მხარეებმა უნდა დაგეგმონ ჭკვიანურად, რომ კანდიდატები იყვნენ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გულწრფელები პასუხების გაცემის მომენტში, რაც, თავის მხრივ, მათ დაეხმარება იმ საფუძვლების მოპოვებაში, რომლებიც ხელს უშლის კანდიდატებს მონაწილეობა მიიღონ ნაფიც მსაჯულად საქმის განხილვაში.

იმისთვის, რომ მსაჯულობის კანდიდატებმა თამამად დაათქვამონ თავიანთი შეხედულებები გარკვეულ საკითხთან მიმართებით, საჭირო იქნება, რომ მხარეებმა არ განსაჯონ მათ მიერ გაცემული პასუხები მათსავე თანდასწრებით. პოტენციურმა ნაფიცმა მსაჯულებმა უკვე იციან, რომ შერჩევის სხდომის მიზანია განსაზღვროს თითოეული იქ წარმოდგენილი პირის კვალიფიკაცია, თუ რამდენად შეძლებს ის შეასრულოს ნაფიც მსაჯულზე დაკისრებული მოვალეობა. ისინი ხვდებიან, რომ აღნიშნულის დასადგენად რაღაც გზით ფასდებიან მოსამართლისა და მხარეების მიერ.<sup>25</sup> მათ აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ მხარეთა რეაქციებს სხვა კანდიდატების მიერ პასუხების გაცემისას და შეძლებისდაგვარად განსაზღვრონ - რომელი პასუხი შეესაბამება უფრო მეტად ერთ მხარეს, ვიდრე მეორეს. ასევე, როდესაც ადამიანმა იცის რომ ფასდება, სურს წარმოჩნდეს საუკეთესო მხრიდან და ეს ვრცელდება პასუხების გაცემაზეც. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს რომელ ფაქტორებს აქვს პოზიტიური გავლენა, როგორ იქნა მიღებული ან შეფასებული მისი ქცევა ან მოსაზრება და, შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებს ისეთ ქცევას ან მოსაზრებას,

---

<sup>24</sup> Olzack P. V., Kaplan M., Penrod S., „Attorney’s Lay Psychology and its Effectiveness in selecting Jurors: Three Empirical Studies”, Journal of Social Behaviour and Personality, 1991, Volume 6, n.3, p.438

<sup>25</sup> Fulero, Penrod S., „Attorney jury selection folklore: What do they think and how can psychologists help?”, Forensic reports, 1990, p.234

რომელიც აარიდებს უხერხულ მომენტებს.<sup>26</sup> მაშასადამე, შერჩევის სხდომაზე მხარეთა კიდევ ერთი ფუნქცია მსაჯულობის კანდიდატების წახალისებაა, რომ ისინი იყვნენ გულწრფელები კითხვებზე პასუხების გაცემისას. თითოეული მსაჯულობის კანდიდატის მიერ გამოთქმული მოსაზრებისადმი მხარის მიერ უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა მაგალითად, მინიშნება, რომ ის არასწორია და სხვ. ყოველმხრივ დაუშვებელია, რადგან ეს გამოიწვევს კანდიდატის ჩაკეტვას საკუთარ თავში, მხარე კი - დაკარგავს პოტენციურად მისთვის სასარგებლო ნაფიც მსაჯულს. მხარის მიერ ამგვარი დამოკიდებულების გამოვლენა მსაჯულობის კანდიდატებს უბიძგებს დასმულ კითხვებს უპასუხონ არა საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ჩაითვლება მოცემულ მომენტში სხდომის დარბაზში მყოფი სხვა პირებისთვის მისაღებად, რათა თავიდან აიცილონ მათდამი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.<sup>27</sup> მოვლენების ამგვარი განვითარება არ იქნება ხელსაყრელი არცერთი მხარისთვის, რადგან ისინი ვერ შეძლებენ რეალურად კანდიდატების შეფასებას და აღმოჩნდებიან მათთვის არასასურველი მსაჯულობის კანდიდატების ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობაში მოხვედრის რისკის ქვეშ. აღნიშნული რომ თავიდან იქნას აცილებული, მხარეებმა თავიდანვე უნდა მისცენ ბიძგი მსაჯულობის კანდიდატებს, რომ მათ დაუბრკოლებლად გამოხატონ თავიანთი აზრი. პოტენციური მსაჯულებისადმი პირველივე მიმართვისას ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კანდიდატებმა პასუხების გაცემისას არ უნდა ეძიონ, თუ რა ჩაითვლება სწორად და არასწორად და ამის მიხედვით გასცენ პასუხი დასმულ კითხვებს, არამედ როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარის მიერ უნდა გამოკვეთოს, რომ ერთადერთი სწორი პასუხი, რაც მისაღები იქნება ორივე მხარისთვის - არის მათი გულწრფელობა.

ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ასპექტი და, შესაბამისად, მხარეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება შერჩევის სხდომაზე არის დროის სწორად გადანაწილება მსაჯულობის თითოეულ კანდიდატთან სასაუბროდ. მხარეებმა ყურადღება არ უნდა მოაკლონ რომელიმე კანდიდატს, რადგან არსებობს იმის რისკი,

---

<sup>26</sup> Simon H.A., „Naturaleza y limites de la razon humana”, Mexico, 1989, pag.29

<sup>27</sup> Tate E., Hawrist E., Clark S., „Communication variables in jury selection”, Journal of Communication, n.3, 1974, p.135

რომ მან თავი იგრძნოს გარიყულად და თავიდანვე უარყოფითად განეწყოს იმ კონკრეტული მხარის მიმართ. ექსპერტების მიერ რეკომენდირებულია, რომ თითოეულ პოტენციურ ნაფიც მსაჯულს არ უნდა დაესვას სამ კითხვაზე მეტი, რადგან ამაზე ერთით მეტი კითხვის დასმამაც კი, შესაძლოა ადამიანს შეუქმნას დისკომფორტი, თავი აგრძნობინოს დაკითხვაზე და მიგვიყვანოს მხარისათვის არასასურველ შედეგამდე - უარყოფითად განეწყოს მის მიმართ, რაც გამოხატოს ჩაკეტვით და თავდაცვითი პოზიციის დაკავებით,<sup>28</sup> რაც არცერთი მხარისთვის სასურველი არ უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ უცხოელი ექსპერტების მიერ აღიარებული ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს შერჩევის სხდომის წარმატებულობას არის გავლენა, რომელიც დამკითხველს ანუ მხარეს აქვს მოპასუხებზე, შესაბამისად - მსაჯულობის კანდიდატზე. მნიშვნელოვანია დამკითხველის სტატუსი: როცა ის მაღალია მოპასუხებზე, ეს უკანასკნელი ცდილობს გასცეს დამკითხველისთვის მოსაწონი პასუხები<sup>29</sup> და ეს ყველაფერი, ზოგადად ზღუდავს პოტენციური ნაფიცი მსაჯულების გულწრფელობას.

აღნიშნულის თავიდან აცილების და შერჩევის სხდომაზე დინამიურობის შენარჩუნების კარგი გზა იმის წასახალისებლად, რომ ყველამ თვისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი არის ერთგვარი ტექნიკის გამოყენება, რომელსაც ინგლისურად ჰქვია ე.წ. „ლუპით ყურება“<sup>30</sup>. მართალია, ტერმინი ქართულად ზუსტად ვერ ითარგმნება, მაგრამ მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მხარე რომელიმე მსაჯულობის კანდიდატს უსვამს რაიმე კითხვას. მსაჯულობის კანდიდატის მიერ მასზე პასუხის გაცემის შემდეგ, მხარე იმ კანდიდატზე მითითებით, რომელმაც კითხვას უპასუხა გაიმეორებს მის მიერ გაცემულ პასუხს და მომდევნო მსაჯულობის კანდიდატს შეეკითხება პირველის პასუხიდან გამომდინარე მასთან ახლოს მდგარ რაიმე საკითხზე.<sup>31</sup> ამგვარად, წარმოიშობა

---

<sup>28</sup> Diamond S.S., „Scientific jury selection: what social scientist know and do not know”, *Judicature*, Volume 73, n.4, 1990, p.180

<sup>29</sup> Sobral J.A., Arce R., Prieto A., „Manual de Psicología Jurídica”, Paidós, Barcelona, 1994, pag.26

<sup>30</sup> Olzack P. V., Kaplan M., Penrod S., „Attorney’s Lay Psychology and its Effectiveness in selecting Jurors: Three Empirical Studies”, *Journal of Social Behaviour and Personality*, 1991, Volume 6, n.3, p.401

<sup>31</sup> Olzack P. V., Kaplan M., Penrod S., „Attorney’s Lay Psychology and its Effectiveness in selecting Jurors: Three Empirical Studies”, *Journal of Social Behaviour and Personality*, 1991, Volume 6, n.3, pp.401-402

დივერსიფიკირებული გავლენა, რაც გულისხმობს იმას, რომ მსაჯულობის კანდიდატები იმსჯელებენ მოსაზრებებზე, რომლებიც წარმოიშობა უშუალოდ მათგან, რის შედეგადაც არ იარსებებს იდეების ან მოსაზრებების გამავერცელებელი რომელიმე მხარე, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა მისი გავრცელებისთვის. არამედ, თუ რომელიმე მსაჯულობის კანდიდატი არ დაეთანხმება რაიმე დაფიქსირებულ პოზიციას, გამოვა, რომ ის არ ეთანხმება იქ შეკრებილთა შორის ჩამოყალიბებულ რომელიმე მოსაზრებას და არა - უშუალოდ კონკრეტულ მხარეს. პოტენციური ნაფიცი მსაჯულების დისკუსიაში ასეთი ფორმით ჩართვით ყურადღება მხარეებიდან გადადის მათზე, ისინი გრძნობენ, რომ თავად არიან მსჯელობის წამმართველნი და, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია, რაც ინვესტს მათ დადებით განწყობას მხარეთა მიმართ და, შესაბამისად, უფრო გახსნილები ხდებიან. გარდა ამისა, თუ რომელიმე პასუხი მხარის პოზიციის საწინააღმდეგოა, მხარემ ამ პასუხის სხვებისთვის გამეორებით, შესაძლოა ყველაზე ეფექტურად და სწრაფად შეძლოს იმ მსაჯულობის კანდიდატების გამოვლენა, ვინც იზიარებს ან არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას, რაც, შესაბამისად მისთვის სასურველი და არასასურველი კანდიდატების გამოკვეთაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია მხარეებმა იცოდნენ, რომ არ არსებობს კარგი და ცუდი პასუხები ისევე, როგორც არ არსებობენ კარგი და ცუდი ნაფიცი მსაჯულები<sup>32</sup>, არამედ არსებობს მიმართულება, რომელსაც ისინი აძლევენ მსაჯულობის კანდიდატებს პასუხების გაცემისა თუ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულების დროს. აქედან გამომდინარე, მხარეებმა შერჩევის სხდომიდანვე უნდა იზრუნონ მსაჯულობის კანდიდატებისთვის ისეთი ატმოსფეროს შექმნისთვის, რაც გამოიწვევს მათი მონაცემებისა თუ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას და კარგ ნაფიც მსაჯულად ჩამოყალიბებას. შეიძლება ითქვას, სწორედ, ეს წარმოადგენს მათ ძირითად როლსა და ფუნქციას შერჩევის სხდომაზე. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა დაინყონ ძლიერად და აამთავრონ ძლიერად.<sup>33</sup>

---

<sup>32</sup> Velasco P. de P., „La investigacion psicologica de la decision del jurado”, Anuario de Psicologia Juridica, n.10, 2000, pag.70

<sup>33</sup> ავტ. კოლექტივი, „სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევებში”, თბილისი, 2012, გვ.328

### **3.4 კანდიდატებისთვის დასმული კითხვების სახეები მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით**

შეიძლება ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევა არის წმინდად ინტუიციური, ანუ - მხარეთა ინტუიციამზე დამყარებული, მას ცვლის ინფორმაცია, რომელიც წინათ იყო მოცემული და პოტენციური ნაფიცი მსაჯულის ქცევას აქცევს „სქემებში“ ან „ზოგად მოდელებში“<sup>34</sup>. საინტერესოა ის, რომ ეს არის ის ნაწილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უფრო მეტად ტრახახი „განსაკუთრებული ცოდნით“<sup>35</sup>, ვიდრე პროფესიული გამოცდილებით. აგრეთვე, ეს ყველაფერი აღეგებს და აწუხებს უპირველეს ყოვლისა მას, ვინც უნდა წარსდგეს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა წინაშე.<sup>36</sup>

მიუხედავად გაკეთებული შეფასებისა, აღსანიშნავია, რომ ვერცერთმა შესწავლამ ჯერ კიდევ ვერ დაამტკიცა, თუ რაში მდგომარეობს პროფესიონალის „კლინიკური თვალი“<sup>37</sup>, რითიც მხარეები აფასებენ მსაჯულობის კანდიდატებს. უფრო სასარგებლოა შერჩევაზე ვიფიქროთ როგორც - ერთ-ერთ საპროცესო სტადიაზე და არ მივანიჭოთ მას დამატებითი ღირებულება. მხარეთა მიერ დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა მდგომარეობს ზუსტად იმის გააზრების შესაძლებლობაში, რომ მხარეთა მიერ გაკეთებულ არცერთ არჩევანს რომელიმე მსაჯულობის კანდიდატზე არ აქვს აპრიორი, რომ იყოს მეტნაკლებად სწორი, ვიდრე მეორე, რაც ნიშნავს იმას, რომ - როდესაც მხარე თავის გადანწყვეტილებას შეაჩერებს რომელიმე მსაჯულობის კანდიდატზე - იმის დადგენის არავითარი გარანტია ან შესაძლებლობა არ არსებობს, რომ ეს მართლაც სწორი არჩევანია, ვიდრე სხვა. მხარეთა მიერ დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა, რაც ამარტივებს აღნიშნული არჩევანის გაკეთებას, გამოიხატება:

---

<sup>34</sup> Toharia J. J., „Sistema judicial y cultura juridica en Espana (1975-2000)”, en Fix-Fierro H., Friedman R., Perez P., Culturas juridicas latinas en Europa y America en tiempos de globalizacion, 2003, pag.307

<sup>35</sup> Casanovas P., „Pragmatica de las decisiones judiciales: diferencias de razonamiento y lenguaje ante el jurado”, Cuadernos de Derecho Judicial, n.16, 1997, pag.112

<sup>36</sup> Casanovas P., „Pragmatica de las decisiones judiciales: diferencias de razonamiento y lenguaje ante el jurado”, Cuadernos de Derecho Judicial, 1997, n.16, pp.109-114

<sup>37</sup> Olzack P. V., Kaplan M., Penrod S., „Attorney’s Lay Psychology and its Effectiveness in selecting Jurors: Three Empirical Studies”, Journal of Social Behaviour and Personality, 1991, Volume 6, n.3, p.342

- კონკრეტული საქმისადმი პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მოსაზრებებსა და ქმედებებზე კონცენტრირებაში
- აცილების გამოყენებაში იმ მსაჯულობის კანდიდატებთან მიმართებით, რომლებითაც სარგებელს იღებს მოწინააღმდეგე მხარე
- ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის წარმართვის სპეციფიკაში

ჩრდილოამერიკელი პროფესიონალების გამოცდილების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითადად მხარეებს სჩვევიათ დამოკიდებულების ძიება საქმესა და მსაჯულების სპეციფიკურ ხასიათს შორის. აქედან გამომდინარე, კითხვები, რომლებსაც თითოეული მხარე უსვამს კანდიდატს, მათი პოზიციიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რადგან ისინი შეიძლება ეძებდნენ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პოტენციურ ნაფიც მსაჯულებს. კითხვები, რომლებიც მხარეთა მიერ ყველაზე ხშირად ისმება შერჩევის სხდომაზე, შეგვიძლია განვაზოგადოთ შემდეგნაირად:

- ზოგადი დამოკიდებულება იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც შეიცავს დანაშაულს
- ზოგადი დამოკიდებულება პოლიციის მიმართ
- სამართლიანობის განცდა
- კანონის მოთხოვნებისადმი დამორჩილების ხარისხი
- ბრალდებულის გამართლების შესაძლებლობა არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში
- ზოგადი დამოკიდებულება იმ პირთა გამართლების საკითხის მიმართ, ვინც ავლენს სანიმუშო ქცევას და ინანიებს ჩადენილს
- საქმის პრესაში გამოქვეყნება
- თუკი მომავალი ნაფიცი მსაჯული რაიმე დანაშაულის მსხვერპლი იყო და რა სახის დანაშაულის
- თუკი აქვთ მისი ოჯახის წევრებს, მეგობრებს რაიმე დანაშაულის გამოცდილება;

- თუკი აქვს რაიმე სახის ურთიერთობა - პირდაპირი ან არაპირდაპირი - კონკრეტული საქმის მონაწილეებთან

გარდა ამისა, მხარეთა მიერ ხდება ისეთი ფაქტორების დადგენა, როგორცაა:

- ზოგადი მონაცემები: ასაკი, სქესი, სამუშაო, სოციალური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა (დაოჯახებული, მარტოხელა), საცხოვრებელი მისამართი
- პერსონალური მახასიათებლები: მიმზიდველი, განათლება, გარეგნობა (ტანისამოსი), ხასიათი, ქცევის ტიპი (მშვიდი, ნერვიული)
- პოლიტიკური იდეოლოგია (ლიბერალი / vs კონსერვატორი).

დასმული კითხვების ტიპების გარდა, მნიშვნელოვანია ის საკითხიც, თუ რა სახით ხდება კითხვების დასმა, რადგან კითხვების დასმის გზა განაპირობებს პასუხებს და, შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის ხარისხსაც. არსებობს „კონტროლის უწყვეტობა“<sup>38</sup> ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის წარმართვისთვის, რომელიც დამოკიდებულია როგორც ლინგვისტურ გამოხატვაზე, ასევე - თანამოსაუბრეების ქცევაზეც. არსებული გამოკვლევები და კლასიფიკაციები ასახავენ დაცვის მხარისა და ბრალმდებლის მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს ნაფიც მსაჯულთა წინაშე კითხვების დასმის და მათგან ინფორმაციის მიღების დროს. პოტენციური ნაფიცი მსაჯულების ე.წ. დაკითხვის ტიპებში შეგვიძლია მოვიაზროთ ზოგიერთი დამკვიდრებული გამოყენება:

- თავისუფალი თხრობა (ღია სახის კითხვები)
- თხრობის მიმართულების განსაზღვრა (დახურული სახის კითხვები)
- ინფორმაციის მოპოვებაში მონაწილეობა
- კი/არა სახის კითხვები

კითხვების დასმის სტრატეგიები განსხვავდება მხარეების მიხედვით და მისი სწორად შერჩევა მნიშვნელოვანია მხარეთა ორიენტაციისა და შერჩევის სხდომის სათანადოდ წარმართვისთვის.

---

<sup>38</sup> Saks M., Marti M., „A Meta-Analysis of the Effect of Jury Size”, Law and Human Behaviour, 1997, Volume 21, p.451

როგორც ზოგიერთი გამოკვლევა აჩვენებს, ისეთი მსაჯულობის კანდიდატის პროფილის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და მისაღება მხარისთვის, დამოკიდებულია საქმეზე. ზოგადი დახასიათება არის ძალიან ცოტა კრიტერიუმის გათვალისწინება ერთი ნაფიცი მსაჯულის პროფილის შექმნისთვის<sup>39</sup> (მასში შედის მხოლოდ ინფორმაციის გარკვეული საკითხები). გარდა ამისა, მხარეების მიერ გაკეთებულ არჩევანში არსებობს შეცდომის დაშვების ალბათობის გარკვეული ხარისხი, რომლის უგულვებელყოფაც დაუშვებელია და არც იქნება მიზანშეწონილი, მაგრამ მიუხედავად ამისა - მსაჯულობის კანდიდატებში ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების - პერსონალური მონაცემების, პიროვნული დახასიათების, ქცევის ტიპების და სხვ. აღმოჩენა ხსნის ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული საბოლოო განაჩენის ვარიაციის არაუმეტეს 15%-ს<sup>40</sup>, რისი დადგენაც, სხვა საკითხებთან ერთად, მხარეებისთვის არ უნდა იყოს ურიგო.

მაშასადამე, ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ შერჩევის სხდომისთვის მომზადებაზე ყურადღების გამახვილება უფრო უკეთესი შედეგის მომცემია, ვიდრე პოტენციური ნაფიცი მსაჯულის გამოცნობის მცდელობა. მხარეთა ბუნებრივობა და რაციონალურობა მსაჯულობის კანდიდატებთან საუბრისას და მათთვის კითხვების დასმისას არის ყველაზე დასაფასებელი ელემენტი<sup>41</sup> და, საბოლოოდ, განაპირობებს წარმატებულ შერჩევის სხდომას.

### ***3.5 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების ღირებულებების დადგენა და სისტემატიზაცია***

შერჩევის სხდომაზე, როგორც წესი, მხარეები ცდილობენ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების პიროვნული მახასიათებლების დადგენას, რაც უადვილებთ სასურველი კანდიდატების შერჩევის პროცესს. პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი არის მსაჯულობის კანდიდატების

---

<sup>39</sup> Heur L., Penrod S., „Increasing juror participation in trials through note taking and question asking”, *Judicature*, Volume 79, n.5, 1996, pp.256-262

<sup>40</sup> Olzack P. V., Kaplan M., Penrod S., „Attorney’s Lay Psychology and its Effectiveness in selecting Jurors: Three Empirical Studies”, *Journal of Social Behaviour and Personality*, 1991, Volume 6, n.3, pp.341-345

<sup>41</sup> Manzo J. F., „Jurors narratives of personal experience in deliberation talk”, *Interdisciplinary Journal for the Study of Discourse*, Volume 13, Issue 2, 1993, p.271

ღირებულებების დადგენა.<sup>42</sup> ღირებულებებში იგულისხმება თითოეული კანდიდატის ფასეულობა, იდეოლოგია, მსოფლმხედველობა, შეხედულება, ანუ ხდება იმის განსაზღვრა თუ როგორი დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მსაჯულობის კანდიდატს ამა თუ იმ მოვლენასთან მისი ღირებულებებიდან გამომდინარე ან რამ შეიძლება იქონიოს გავლენა მის ქცევასა თუ გადაწყვეტილების მიღებაზე ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.

აუცილებელია მხარეებმა დაადგინონ არა მხოლოდ მათთვის სასურველი ღირებულებები, არამედ ის ღირებულებებიც, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ რისკს მათ საქმეში და განაპირობონ მათთვის არასასურველი შედეგი. თუ რომელი ღირებულება იქნება მხარეებისთვის სასარგებლო ან საზიანო უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან ერთ საქმეზე სასარგებლო ღირებულება შესაძლებელია სხვა საქმეზე საზიანო აღმოჩნდეს და პირიქით. ამიტომ, შერჩევის სხდომამდე თითოეულმა მხარემ წინასწარ უნდა გამოყოს მისთვის სასურველი და საზიანო ღირებულებები მისი სტრატეგიისა და საქმის თეორიის შესაბამისად და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რომელი ღირებულებები შესაძლოა წარმოადგენდეს რისკს მის საქმეში, რაც, თავის მხრივ, გაუადვილებს აცილების შუამდგომლობის დაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ შემდეგ რისკის წყაროებს ღირებულებების დადგენისას, რაც აუცილებელია გასათვალისწინებლად:

- კავშირები - დამოკიდებულება პირდაპირი ცოდნით ან თანაგრძობის ან ანტიპათიის მოპოვების შესაძლებლობებით - ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ ბრალდების მხარესთან, ადვოკატებთან, ან პროცესის სხვა მონაწილეებთან - მონშეების ჩათვლით.<sup>43</sup> მსაჯულობის კანდიდატებს პროცესის მსვლელობის განმავლობაში შესაძლებელია გარკვეული სახის დამოკიდებულება გაუჩნდეთ პროცესის რომელიმე მონაწილის მიმართ, რამაც

<sup>42</sup> Penna Cristian D., "Lineamientos para litigar", ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag. 833

<sup>43</sup> Nicora Guillermo, "Seleccion de jurados desde cero", en Revista Pensamiento Penal, edicion nro. 165, 3/3/2014 (ხელმისაწვდომია აქ: <http://incip.org/wp-content/uploads/Selecci%C3%B3n-de-jurados-desde-cero-Nicora-1.pdf>)

გავლენა იქონიოს მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. მაგალითად: ნათელია რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს სიყვარულისა ან მეგობრობის გრძნობამ, ან მტრობამ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატსა და რომელიმე მხარეს შორის. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თანაგრძნობა, რომელსაც ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი განიცდის მონინაალმდევე მხარის მთავარი მოწმის მიმართ, შესაძლოა დამღუპველი იყოს საქმისთვის.<sup>44</sup> გარკვეული დამოკიდებულების ჩამოყალიბება შესაძლებელია მოხდეს როგორც ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისგან დამოუკიდებლად, მაგალითად, ბრალდებულის ან დაზარალებულის მიმართ სიბრალულის გრძნობის გაჩენის გამო, ასევე, წინასწარ განზრახულად - გარკვეული ფაქტორების ცოდნის გავლენით, მაგალითად: ერთ პროფესიულ, სოციალურ წრეში ყოფნა, იმავე სპორტულ კლუბში განწევრიანება და ა.შ.

- კანდიდატის პირადი ან მასთან დაკავშირებული სხვა ადამიანების გამოცდილება საქმის დეტალებთან დაკავშირებით. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის წარსულმა გამოცდილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და მან გადაწყვეტილება მიიღოს არა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ მის გონებაში არსებული წარსული გამოცდილების შესაბამისად.<sup>45</sup> მაგალითად, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი შესაძლებელია წარსულში იყოს დანაშაულის მსხვერპლი ან დანაშაულის მოწმე და მისმა ამ გამოცდილებამ შესაძლებელია განაპირობოს წინასწარი გარკვეული დამოკიდებულების ჩამოყალიბება საქმისადმი. წარსული გამოცდილება შესაძლებელია ეხებოდეს არა პირადად ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს, არამედ მის ახლობელ ადამიანს, ანუ მის გარემოში არსებული ადამიანების ღირებულებებმა, შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ მის ღირებულებებზე და ამან უბიძგოს გარკვეული გადაწყვეტილების მიღებისაკენ მიუხედავად იმისა, რომ თავად არ ეთანხმებოდეს მას. მაგალითად, მისი

---

<sup>44</sup> Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag. 835

<sup>45</sup> Nicora Guillermo, “Selección de jurados desde cero”, en Revista Pensamiento Penal, edición nro. 165, 3/3/2014 (ხელმისაწვდომია აქ: <http://incip.org/wp-content/uploads/Selecci%C3%B3n-de-jurados-desde-cero-Nicora-1.pdf>)

ნათესავი შესაძლებელია წარსულში ყოფილიყო ბრალდებული და ამ გამოცდილებამ შესაძლებელია განაპირობოს ბრალდებულის სასარგებლო გადანწყვეტილების მიღება.

- კანდიდატის პოზიცია პროცესის განმავლობაში გამოყენებული მტკიცებულებების მიმართ. მაგალითად, მსაჯულობის კანდიდატმა შესაძლებელია არ გაითვალისწინოს მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა, რადგან ის ეწინააღმდეგებოდეს მის ღირებულებებს და გადანწყვეტილება მიიღოს საკუთარი რწმენის საფუძველზე, ან გამოკვლეული მტკიცებულებების სანდოობა პირადი მოსაზრების საფუძველზე დააყენოს ეჭვქვეშ - მაგალითად, არ გაიზიაროს ექსპერტიზის დასკვნა, ამ საკითხისადმი საკუთარი განსხვავებული მოსაზრების არსებობის გამო და პირიქით.
- იდეოლოგიური წარმოდგენები ან კომპრომისები საქმის დეტალების შესახებ.<sup>46</sup> არ არის რთული წარმოსადგენი რა წინასწარი პირობები შეიძლება წარმოქმნას ამ სახის რწმენებმა გადანწყვეტილების მიღების პროცესში.
- მსაჯულობის კანდიდატის პიროვნული თვისებები - მკაცრი ან დამყოლი, ოპტიმისტი ან პესიმისტი, მისი დამოკიდებულება კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციასთან. მაგალითად, მსაჯულობის კანდიდატმა შეიძლება გაითვალისწინოს სოციალურ ქსელში ნანახი ინფორმაცია და ამით იხელმძღვანელოს გადანწყვეტილების მიღებისას და არა - სასამართლო პროცესზე მიღებული დასკვნებით.
- ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის როლი მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მის მიერ ზეგავლენის მოხდენის უნარი სხვაზე და პირიქით.<sup>47</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ის ვინც არის ლიდერი თავის ცხოვრებაში, სავარაუდოდ, ასევე იქნება ნაფიცი მსაჯულთა შორის, და ეს შესაძლოა აღმოჩნდეს სავალალო თუკი ეს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი საქმის შინაარსის საპირისპირო პოზიციას მიემხრობა. პირიქითაც, შესაძლოა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი აღმოჩნდეს ის, ვინ

---

<sup>46</sup> Maier Julio B.J., "Delitos de lesa humanidad, de funcionarios publicos y sistema judicial en materia penal", Buenos Aires, 2013, pag.7

<sup>47</sup> Penna Cristian D., "Lineamientos para litigar", ob. Cit., Buenos Aires, 2014, pag. 836

მოექცევა სხვისი აზრის გავლენის ქვეშ და ამის მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას.

მაშასადამე, ჩამოთვლილი ფაქტორები არ არის ამომწურავი. ისინი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და ყოველ საქმეში შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. იმ ღირებულებების დადგენას ნაფიცი მსაჯულთა კანდიდატებს შორის, რომლებმაც ზიანი შეიძლება მიაყენონ მხარის პოზიციას და რისკის ქვეშ დააყენოს ის, დიდი მნიშვნელობა აქვს სასურველი ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესში და მხარეებმა მისთვის მზადებას გარკვეული დრო უნდა დაუთმონ.

### ***3.6 მსაჯულობის კანდიდატების დადგენილი ღირებულებების შეფასება***

როგორც უკვე აღინიშნა, უმჯობესია, მხარეებმა წინასწარ განსაზღვრონ ის ღირებულებები, რომელთა ქონაც სასარგებლო იქნება მათი საქმის თეორიისთვის. ამ ღირებულებების მქონე კანდიდატების აღმოსაჩინად უამრავ მსაჯულობის კანდიდატს შორის მათ უნდა მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, რათა დაადგინონ რომელი კანდიდატი შეესაბამება მათ მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კი, უნდა მოხდეს თითოეული კანდიდატის სიმტკიცის შეფასება განსაზღვრულ ღირებულებებთან მიმართებაში, ანუ რამდენად მტკიცედ იზიარებს ის თავის მიერ დაფიქსირებულ დამოკიდებულებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვასხვავოთ კანდიდატების ღირებულებების დასადგენად კითხვების ფორმულირებისთვის ორი მომენტი:

- წინასწარი კითხვარი: როდესაც სასამართლომდე, მხარეებს შეუძლიათ მოსამართლეს გადასცენ მომზადებული ზოგადი კითხვარი მარტივი კითხვებით მსაჯულობის კანდიდატათვის გადასაცემად და
- შერჩევის სხდომა: როდესაც სასამართლო მოსმენის დროს მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ მოიპოვონ დამატებითი, უფრო დეტალური ინფორმაცია მსაჯულობის კანდიდატების შესახებ.

დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან საკმარისი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ უნდა გადავინაცვლოთ მის გაანალიზებაზე, ანუ პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა შეფასებასა და თითოეული ზემოთ აღნიშნული რისკის საშიშროების განსაზღვრაზე.

კანდიდატების უკეთ შესაფასებლად უმჯობესია გათვალისწინებული იყოს მოცემული ორი ფაქტორი:

- I ფაქტორი: კანდიდატის „ღირებულება“ - ხელსაყრელი ან არახელსაყრელი;
- II ფაქტორი: „სიმტკიცე“ ამ ღირებულებაში - ხასიათის სიმტკიცისა და/ან ღირებულებასთან მისი დამოკიდებულების ხარისხის გამო.<sup>48</sup>

ამგვარად, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით მხარეებმა არამართო კანდიდატების მათთვის სასურველი და არახელსაყრელი ღირებულებები უნდა დაადგინონ და შესაბამისად, აიცილონ ისინი, ვინც აფასებს მათთვის არასასურველ ღირებულებებს, არამედ აუცილებელია იმის დადგენაც, თუ რამდენად მტკიცეა კანდიდატების დამოკიდებულება ამ ღირებულებებისადმი, ანუ რამდენად მარტივად ან რთულად შეცვლიან საკუთარ პოზიციას შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და სავსებით შესაძლებელია დაარწმუნონ სხვა ნაფიცი მსაჯულიც და მოახდილონ გავლენა მის გადანყვეტილებაზე.<sup>49</sup>

ყველაზე სარისკო მხარეებისთვის იქნება ის კანდიდატი, რომელიც იზიარებს მათთვის არასასურველ ღირებულებას და ამ ღირებულებისადმი მტკიცე დამოკიდებულება აქვს, ანუ არცერთ შემთხვევაში არ შეიცვლის აზრს და არ გადაუხვევს მას, ამიტომ, მისი მონაწილეობა საქმის განხილვაში მათთვის განსაკუთრებით საზიანოა. ნაკლებად სარისკო ჯგუფში იქნება ის კანდიდატი, რომელსაც მხარეთათვის არასასურველი ღირებულებებისადმი მტკიცე დამოკიდებულება არ აქვს და მისგან გადახვევა შეუძლია ობიექტური ფაქტორების არსებობისას.

---

<sup>48</sup> Nicora Guillermo, “Selección de jurados desde cero”, en Revista Pensamiento Penal, edición nro. 165, 3/3/2014 (ხელმისაწვდომია აქ: <http://incip.org/wp-content/uploads/Selecci%C3%B3n-de-jurados-desde-cero-Nicora-1.pdf>)

<sup>49</sup> Sidonie Porterie, Aldana Romano, „El poder del jurado: descubriendo el juicio por jurados en la Provincia De Buenos Aires”, Buenos Aires, 2018, pp. 49-51

რაც შეეხება მხარეთათვის ხელსაყრელი ღირებულებების მქონე კანდიდატებს, რომელთაც მათდამი მტკიცე დამოკიდებულება აქვთ, ასეთი კანდიდატები რა თქმა უნდა ხელსაყრელია მათთვის, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ისინი აღმოჩნდნენ ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობაში მონინაალმდევე მხარის მიერ მათი აცილების გამო. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობაში ვხვდებით ისეთ კანდიდატებს, რომლებიც ღირებულებების მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულებით გამოირჩევიან და შეუძლიათ მათგან გადახვევა, თუ ეს საჭიროა ობიექტური გადანყვეტილების მისაღებად.

### ***3.7 შერჩეულ კანდიდატებში ე.წ. „გაბატონებული ჯგუფების“ ფორმირების საშიშროება და მისი თავიდან აცილების შესაძლო გზა***

იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისგან და, მათ შორის, არც არჩეული მსაჯულობის კანდიდატები არ არიან გამონაკლისნი, არსებობს იმის საშიშროება, რომ შერჩეულ კანდიდატებს შორის წარმოიშვას უთანხმოება და ისინი ვერ მივიდნენ საერთო გადანყვეტილებამდე, რაც საბოლოოდ ვერდიქტის გამოტანის საკითხს რისკის ქვეშ აყენებს. არ არის გამორიცხული საერთო იდეოლოგიისა თუ შეხედულებების მქონე არჩეული კანდიდატები გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ ე.წ. „გაბატონებული ჯგუფები“,<sup>50</sup> რომლებიც შეეცდებიან თათბირის დროს სხვებზე ზეგავლენის მოხდენას, რაც გულისხმობს საკუთარი პოზიციის მაქსიმალურად დაცვას და დანარჩენ მსაჯულთა გადმოხიზვას. აღნიშნული საკითხის სიმწვავემ გამოიწვია მისი უფრო სიღრმისეული კვლევა ამერიკელი იურისტების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი შემთხვევები და მხარეთა მიერ მსაჯულობის კანდიდატების შერჩევისას რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა იქნას დაშვებული.

ლოგიკურად მოსალოდნელია, რომ ის არჩეული კანდიდატები, რომლებსაც მსგავსი მოსაზრებები აქვთ უფრო მარტივად მივლენ კონსენსუსამდე, ვიდრე განსხვავებული შეხედულების მქონენი, რადგან მიჩნეულია, რომ მსგავსი იდეოლოგიის

---

<sup>50</sup> Hans V.P., Vidmar N., „Jury selection”, The psychology of the courtroom, New York: Academic Press, 1982, p.61

მქონე ადამიანები ერთნაირად აზროვნებენ და ისინი ინდივიდუალურად მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რაც დაემთხვევა სხვა მათნაირი იდეოლოგიის მქონე მსაჯულის გადაწყვეტილებას და ასე წარმოიქმნება მსაჯულთა ჯგუფი, რომელიც შეიძლება მსაჯულთა უმრავლესობასაც წარმოადგენდეს, თუმცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, 12-მა განსხვავებული იდეოლოგიის მქონე მსაჯულმა უფრო მარტივად შეიძლება მიაღწიოს საერთო გადაწყვეტილებას, ვიდრე ერთნაირად მოაზროვნემ.<sup>51</sup> ერთნაირად მოაზროვნე მსაჯულების ჯგუფში ერთიანდებიან ის კანდიდატები, რომლებსაც მსგავსი დამოკიდებულება აქვთ სხვადასხვა საკითხის მიმართ, მაგალითად: პროგრესულად მოაზროვნეები, სენსიტიური თემების მიმართ ლოიალურები, კონსერვატორები, ავტორიტარული შეხედულებების მქონენი და ა.შ. როგორც შეინიშნება, სხვადასხვა მოსაზრების მქონე მსაჯულები უკეთესად წყვეტენ პრობლემებს.<sup>52</sup> ხოლო, ერთნაირი იდეოლოგიის მქონე მსაჯულებით შემდგარ 12 კაციან ჯგუფებს კი მივყავართ მიკერძოებულ ვერდიქტებამდე. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა მთელი რიგი საქმეების ანალიზი, რომელიც განახორციელეს ამერიკელმა მკვლევარებმა თავიანთ ნაშრომებში. მაგალითად: სამედიცინო დაუდევრობის შემთხვევაში კონსერვატორები და პროგრესულად მოაზროვნეები იღებენ ერთნაირ გადაწყვეტილებას მაშინ, როცა მხოლოდ კონსერვატორებს ან მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნეებს შეიძლება უფრო მეტად გაუჭირდეთ ერთ გადაწყვეტილებამდე მისვლა.<sup>53</sup> იგივე დასტურდება მკვლევლობისა და ძალადობის საქმეებზეც, მათ შორის ისეთ საქმეებზეც, რომლებიც გენდერული ნიშნითაა განპირობებული.<sup>54</sup>

აღნიშნულმა დასკვნებმა შეიძლება მიგვიყვანოს ანომალიებამდეც მისი შინაარსის გათვალისწინებით, რადგან მსგავსი შედეგები ყველასთვის მოულოდნელია, მაგრამ ის შეიძლება აიხსნას იმით, რომ ერთნაირი იდეოლოგიის მქონე მსაჯულები არ ითვალისწინებენ ყველა მტკიცებულებას, უფრო მეტიც, ისინი იზიარებენ მხოლოდ იმ

---

<sup>51</sup> Hans V.P., Vidmar N., „Judging the jury”, New York: Plenum Press, 1986, pp.284-285

<sup>52</sup> Zeisel H., „The diminution of federal jury”, University of Chicago Law Review, n.35, 1971, pp. 228-241

<sup>53</sup> Arce R., Farina F., Sobral J., „Verdicts of psychosocially biased juries”, Psychology and Law, Berlin, 1992, p.37

<sup>54</sup> Arce R., Farina F., Sobral J., „From juror to jury decision making. A non model approach”, Psychology, law and criminal justice, Berlin, 1996, pp.337-343

მტკიცებულებებს, რომლებიც მათ უკვე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს შეესაბამება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და ისე იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება არა რეალურ ფაქტებსა თუ მოვლენებს, არამედ იმ წარმოდგენებსა თუ ინტერპრეტაციებს, რომლებისაც მათ სჯერათ და მათ გონებაში არსებობს.<sup>55</sup> რადგან ყველა მსაჯულს ერთნაირი შეხედულება აქვს, ამიტომ ფიქრისა და მსჯელობისთვის დიდი დრო არ სჭირდებათ და მარტივად მიდიან ვერდიქტამდე, რადგან ყველას ერთნაირი აზროვნების სტილი აქვს და საკითხსაც ერთნაირად წყვეტენ. მათ შორის დავა, როგორც წესი, არ წარმოიშობა. თუ დავამატებთ იმასაც, რომ არ ხდება პროცესზე წარმოდგენილი ყველა ინფორმაციის დეტალურად განხილვა, რადგან ასეთი მსაჯულები ყველა საკითხზე ადვილად თანხმდებიან, შეცდომის ალბათობაც უფრო დიდია. საერთო ჯამში კი, ამ ყველაფერს მივყავართ მიკერძოებულ ვერდიქტამდე.

რაც შეეხებათ იმ 12 კაციან ჯგუფებს, რომლებიც განსხვავებული მოსაზრებების მქონე მსაჯულებისგან შედგებიან უფრო დიდი შანსი აქვთ, რომ მიიღონ სწორი გადაწყვეტილება ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით, რადგან მათი მოსაზრებები და შეხედულებები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც წარმოშობს მათ შორის კამათს და საკუთარი პოზიციების დასაბუთების აუცილებლობას. ასეთ დროს ხდება საქმესთან დაკავშირებული ფაქტების, წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალური განხილვა, რადგან ყველა მსაჯულს თავისი შეხედულება აქვს თითოეულ საკითხთან დაკავშირებით და მათ უწევთ ერთმანეთს დაუმტკიცონ თვიანთი პოზიციის სისწორე, რომელიც ემყარება რეალურ, ობიექტურ ფაქტებს და არა მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე პირად შეხედულებებს. სწორედ, ასეთი აზრთა სხვადასხვაობა უბიძგებს მათ საქმის დეტალების უფრო ღრმად განხილვისკენ, რის შედეგადაც იბადება ჭეშმარიტება და ვიღებთ ნაფიც მსაჯულთა, როგორც საზოგადოების წამომადგენელთა, ობიექტურ ვერდიქტს, რაც, თავის მხრივ, ამართლებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის ნამდვილ მიზანს.

---

<sup>55</sup> Janis I. J., „Victims of groupthink”, Boston: Houghton Mifflin, 1972, p.31

მიუხედავად ამისა, გადაჭრით იმის თქმა, რომ განსხვავებული იდეოლოგიის მქონე მსაჯულები ყოველთვის ობიექტურ და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და პირიქით - ერთნაირი იდეოლოგიის მქონენი ყოველთვის მიკერძოებულნი იქნებიან, შეუძლებელია. მართალია, ჩატარებული კვლევები მხარეებს ეხმარება უფრო სწორად და მარტივად დაგეგმონ შერჩევის პროცესი და შეარჩიონ სწორი მსაჯულობის კანდიდატები, მაგრამ მხოლოდ მათ შედეგებზე დაყრდნობა არ უნდა იყოს სწორი და გამართლებული, რადგან სრულიად შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ განსხვავებული იდეოლოგიის მქონე მსაჯულებმა ვერასდროს მიაღწიონ შეთანხმებას და ვერდიქტის მიღების საკითხი დადგეს რისკის ქვეშ. ასევე, ერთნაირი შეხედულების ქონაც ყოველთვის ერთპიროვნულად ვერ განაპირობებს მიკერძოებულ და არასამართლიან ვერდიქტს. გარდა ამისა, ერთნაირი იდეოლოგიის ქონა ყოველთვის არ ქმნის იმის საფუძველს მსაჯულები ერთნაირ გადაწყვეტილებას მიიღებენ და ერთნაირად შეაფასებენ გარემოებებს. სავსებით შესაძლებელია არჩეული მსაჯულობის კანდიდატს საქმესთან დაკავშირებული რაიმე საერთო მოსაზრება აღმოაჩნდეს განსხვავებული იდეოლოგიის მქონე მსაჯულებთან და მათთან ერთად შექმნას უმრავლესობა, ანუ ე.წ. „გაბატონებული ჯგუფი“. გარდა ამისა, მხოლოდ გარკვეული იდეოლოგიის ქონის გამო მსაჯულობის კანდიდატზე უარის თქმას მივყავართ დისკრიმინაციულ მიდგომებამდე, რაც აკრძალულია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო აქტებითაც.

აქედან გამომდინარე, უმჯობესია მხარეები ისეთი მსაჯულების შერჩევაზე იყვნენ ორიენტირებულნი, რომლებიც შეძლებენ ფაქტებისა თუ მოვლენების ობიექტურად შეფასებას, აქვთ დამოუკიდებლად აზროვნების უნარი და არ მოექცევიან სხვისი შეხედულების გავლენის ქვეშ, რაც ე.წ. „გაბატონებული ჯგუფების“ შექმნის ალბათობას ამცირებს და, თავისთავად, გამორიცხავს მიკერძოებული ვერდიქტის მიღებასაც.

### ***3.8 ნათიკ მსაჯულთა შერჩევა დადგენილი წესებიდან გადახვევით: არასტანდარტული მეთოდების გამოყენებით და მისი ეფექტურობა***

როგორც ჩანს, ნათიკ მსაჯულთა შერჩევის ტრადიციული მეთოდები სრულად არ უზრუნველყოფს მხარეებისთვის სასურველი შედეგის მიღწევას, რაც გულისხმობს ისეთ 12 კაცთან მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირებას, რომელსაც უნარი აქვს პროცესის

მსვლელობისას წარმოდგენილ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ლოგიკურად მსჯელობის შედეგად, მათი საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ მივიღეს ობიექტურ დასკვნამდე. ამის გამო, მხარეები ხშირად უხვევენ წესებიდან და მიმართავენ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის არასტანდარტულ მეთოდებს, რაც გამოიხატება მსაჯულობის კანდიდატების შერჩევისას მათი ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, რასის, სოციალური კუთვნილების, ასაკის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებასა და ამის მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში - სასურველია თუ არა კონკრეტული კანდიდატი მათთვის.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, მაგალითად მოვიყვანოთ ამერიკელი ადვოკატების გამოცდილება, რომლებმაც გამოიკვლიეს ჩამოყალიბებული სტერეოტიპული მიდგომები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რასის და ა.შ. ჯგუფებთან დაკავშირებით და მივიღენ ერთ დასკვნამდე, რომელიც ჩამოაყალიბეს შემდეგნაირად: ზოგადად ფიქრობენ, რომ ლათინური წარმოშობის ადამიანები არიან ემოციურები მაშინ, როცა ბრიტანელები, გერმანელები და სკანდინავიელები არიან კონსერვატიულები და მხარს დაუჭერენ ბრალდების მხარის იმ პოზიციას, რომელსაც ის წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ ფერადკანიანები, იტალიელები, ირლანდიელები, ებრაელები, ფრანგები და ესპანელები უფრო მეტად მხარს უჭერენ დაცვას ვიდრე ბრალდების მხარეს. ჰგონიათ, რომ მიმტანები, ტავერნის მუშაკები, მუსიკოსები, მსახიობები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები და სხვა მსგავსი პროფესიების მქონე ადამიანები საზოგადოებასთან ურთიერთობის უფრო მეტი გამოცდილების ქონის გამო იქნებიან უკეთესი მსაჯულები ვიდრე, მაგალითად, ინჟინრები და ბუღალტრები.<sup>56</sup> ამგვარი სტერეოტიპული შეხედულებები საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებით ყველა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან მათი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ყოველი ერის ისტორიულ წარსულთან, მისი განვითარების დონესთან, იქ დამკვიდრებულ ჩვეულებებსა და წარმოდგენებთან.

ასევე, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმე ამერიკის შეერთებული შტატების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიაში, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ აღნიშნული

---

<sup>56</sup> Tate E., Hawrist E., Clark S., „Communication variables in jury selection”, Journal of Communication, n.3, 1974, pp.130-139

მიდგომის გამამართლებელ ერთ-ერთ არგუმენტად არის ო ჯეი სიმფსონის საქმე. მას ბრალდების მხარე ედავებოდა თავისი ყოფილი ცოლისა და მისი მეგობარი მამაკაცის მკვლელობაში. იგი ნათეს მსაჯულთა მიერ გამართლებული იქნა წარდგენილ ბრალდებაში, რამაც ამერიკულ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. იმ ფაქტმა, რომ ბრალდებული და ნათეს მსაჯულთა შემადგენლობის უმრავლესობა ფერადკანიანები იყვნენ, განაპირობა იმ მოსაზრების წარმოშობა, რომ სწორედ კანის ფერი გახდა ერთ-ერთი მთავარი საფუძველი მსაჯულთა მიერ გამამართლებელი ვერდიქტის მიღებისა და დღესაც, ამერიკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რჩება იმავე აზრზე და თვლის, რომ სიმფსონმა მართლა განახორციელა ბრალად წარდგენილი ქმედება და რომ არა მისი და ნათეს მსაჯულთა შემადგენლობის უმრავლესობის ერთი რასისადმი კუთვნილება, ის დამნაშავედ იქნებოდა ცნობილი.<sup>57</sup>

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობამ მსაჯულობის კანდიდატთა შერჩევას იურისტებში გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. გამოჩნდნენ მისი მოწინააღმდეგეებიც. ერთნი ასეთ მიდგომას აკრიტიკებენ იმ საფუძველით, რომ ამ გზით შესაძლებელია ისეთი პოტენციური ნათესი მსაჯულების დაკარგვა, რომლებსაც აქვთ მოვლენების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობა, რაც, რასაკვირველია, თითოეული მხარისთვის უდიდესი დანაკლისი იქნებოდა,<sup>58</sup> ხოლო მეორენი მას ეწინააღმდეგებიან სათანადო გარანტიის არ ქონის გამო, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული მეთოდით ნათეს მსაჯულთა დაკომპლექტებას არ გააჩნია საკმარისი სანდოობა, ის ვერ იძლევა გარანტიას იმ ხარისხით, რაც უზრუნველყოფდა მხარის უპირობო წარმატებას<sup>59</sup>. ორივე მოსაზრება გარკვეულწილად გასაზიარებელია. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტრეოტიპულ შეხედულებებზე დაყრდნობა და მისით ხელმძღვანელობა არცერთი მხარისთვის არ იქნება მიზანშეწონილი და

---

<sup>57</sup> უფრო დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.britannica.com/event/O-J-Simpson-trial> (განახლებულია 14.06.2019)

<sup>58</sup> Graciano S. J., Panter A.T., Tanaka J.S., „Individual differences in information processing strategies and their role in juror decision making and selection”, *Forensic reports*, 1990, pp.279-301

<sup>59</sup> Pennington N., Hastie R., „Evidence evaluation in complex decision making”, *Journal of Personality and Social Psychology*, n.51, 1986, pp.242-258

სასარგებლო, რადგან იმის წინასწარ განსაზღვრა და დადგენა პირობითად გარკვეული პროფესიისა თუ რელიგიის მქონე ადამიანები როგორ გადანწყვეტილებას მიიღებენ ან იქნებიან სხვაზე უკეთესი ნაფიცი მსაჯულები თუ არა - შეუძლებელია და ამის არანაირი ბერკეტი და საშუალება მხარეებს არ გააჩნიათ. კანდიდატზე მხოლოდ მისი კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების გამო უარის თქმით მათ შეიძლება მართლაც დაკარგონ ობიექტურად და საღად მოაზროვნე ნაფიცი მსაჯული, რომლის პოვნა ასე მარტივი ნამდვილად არ არის. გარდა ამისა, დაუშვებელია მსაჯულობის კანდიდატის შეფასება მხოლოდ მისი ეროვნების, რელიგიის და სხვა ფაქტორების გამო, რადგან ადამიანის აზროვნება, მისი მსოფლმხედველობა მის ეროვნულ, ეთნიკურ წარმომავლობასა თუ პროფესიაზე ვერ იქნება დამოკიდებული. ამიტომ, მისი პიროვნების შეფასება და წინასწარ დასკვნის გამოტანა ამ საფუძვლებზე დაყრდნობით ყოველად მიუღებელია. ამასთან ერთად, ეს სხვა არაფერია თუ არა მსაჯულობის კანდიდატის დისკრიმინაცია, რაც, როგორც ითქვა, აკრძალულია არაერთი საერთაშორისო კონვენციითა თუ შიდა აქტებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნული სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მხარეებმა ჩამოთვლილ საფუძვლებს ყურადღება არ უნდა მიაქციონ. პირიქით, მათ უნდა შეისწავლონ თითოეული კანდიდატის სოციალური, რელიგიური, პროფესიული ჯგუფებისადმი კუთვნილების საკითხი საქმის ფაქტორებიდან გამომდინარე და გამოყონ სარისკო ფაქტორები ყველა კანდიდატისთვის ცალ-ცალკე.<sup>60</sup> მათ მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა იმის დადგენა ესა თუ ის მსაჯულობის კანდიდატი რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება ან რა პროფესიისაა, არამედ ის - მისი ამ ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება ან კონკრეტული პროფესიის ქონა ხელს ხომ არ შეუშლის მას ობიექტურად აზროვნებაში და გადანწყვეტილების მიღებისას გავლენას ხომ არ მოახდენს მასზე.<sup>61</sup> რაც გულისხმობს იმას, რომ რომელიმე ჯგუფისადმი მსაჯულობის კანდიდატის კუთვნილების დადგენა კი არ უნდა იყოს მხარეების თვითმიზანი, არამედ ის - ეს კუთვნილება სარისკო ხომ არ იქნება საქმის გარემოებების ობიექტურად

<sup>60</sup> Hastie R., Penrod S., Pennington, „Inside the jury”, Harvard University Press, Cambridge, 1983, p.56

<sup>61</sup> Peter A. Joy, „Race matters in jury selection”, Northwestern University Law Review, vol.109, 2015, pp.180-181

გამოკვლევითის სწორი ვერდიქტის მიღებას ხომ არ შეუძლია ხელს, რაც, საბოლოო ჯამში, საქმის სამართლიან განხილვასაც შეუწყობს ხელს. აღნიშნულ საკითხს მოგვიანებით კვლავ შევეხებით.

#### **თავი.4 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა აცილება**

##### **4.1 აცილების სახეები და მისი მნიშვნელობა**

აცილება ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მხარეთათვის მინიჭებული შესაძლებლობა უარი თქვან მათთვის არასასურველ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებზე კანონით დადგენილ ფარგლებში და ამ გზით ჩამოაყალიბონ ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობა. აცილება ფორმისა და შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ სახედ, ესენია:

- თვითაცილება
- დასაბუთებული აცილება
- დაუსაბუთებელი აცილება

##### **4.1.1 თვითაცილება**

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს საშუალება აქვთ თავად დააყენონ თვითაცილების შესახებ შუამდგომლობა მოსამართლის წინაშე, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი გარემოების არსებობის შემთხვევაში, რომელიც მათ ხელს შეუშლის განახორციელონ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა - მათ შეუძლიათ აცნობონ მოსამართლეს და თავად მოითხოვონ მათი საქმიდან აცილება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი). ის კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რაც შეიძლება გახდეს მათი საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულად არ მონაწილეობის საფუძველი, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს განემარტებათ მოსამართლის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებამდე და მიეწოდებათ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაცია. ასევე, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს აცილების საფუძველებთან ერთად ეცნობებათ

ის ფაქტიც, რომ მათ თავად შეუძლიათ განაცხადონ თვითაც იღებინონ და განემარტებინონ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების ტექნიკური საკითხები.

თვითაც იღებინონ შუამდგომლობის დაყენება, როგორც წესი, ხდება შერჩევის სხდომის დასაწყისში - მანამ, სანამ მხარეები უშუალოდ გადავლენ მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვების დასმის ეტაპზე და მას ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები აყენებენ ზეპირად. თვითაც იღებინონ შუამდგომლობის დაყენებისას, როგორც ეს დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილების შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში ხდება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დანარჩენი მსაჯულობის კანდიდატების მიერ სხდომის დარბაზის დატოვებას. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვს თავად გადაწყვიტოს აღნიშნულ შუამდგომლობას დააყენებს საჯაროდ - სხდომის დარბაზში მყოფ პირთა გასაგონად, თუ განცალკევებით - მხოლოდ მოსამართლის წინაშე, რასაც მხარეებიც ესწრებიან.

თვითაც იღებინონ შესახებ შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი), რაშიც იგულისხმება აცილების საფუძვლის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მხარეებსაც აქვთ უფლება გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება კონკრეტული მსაჯულობის კანდიდატის აცილებისადმი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი) მანამ, სანამ მოსამართლე მიიღებს მისი დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს.

მას შემდეგ, რაც ნაფიცი მსაჯულობის ყველა ის კანდიდატი, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, დააყენებს თვითაც იღებინონ შესახებ შუამდგომლობას, მოსამართლე გადადის მათი განხილვის ეტაპზე. აღნიშნულ შუამდგომლობებს მოსამართლე განიხილავს ცალკე, მხოლოდ პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობით. თუმცა, სხდომაზე დამსწრე სხვა პირები არც ამ შემთხვევაში არ არიან ვალდებული დატოვონ სხდომის დარბაზი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი). თვითაც იღებინონ შესახებ დაყენებული შუამდგომლობების განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება (საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი) და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადანაცვებებს:

1. თვითაცილების შესახებ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების და შესაბამისი მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ, ან
2. თვითაცილების შესახებ დაყენებული შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების და შესაბამისი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შერჩევის სხდომაში მონაწილეობის გაგრძელების შესახებ.

მოსამართლე მიღებულ გადანაცვებებს აცხადებს ზეპირად სხდომის დარბაზში მყოფ პირთა თანდასწრებით. გადანაცვებების გამოცხადების შემდეგ აცილებული მსაჯულობის კანდიდატები დაუყოვნებლივ ტოვებენ სხდომის დარბაზს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი) და შერჩევის პროცესი გრძელდება დარჩენილ კანდიდატებთან ერთად.

#### ***4.1.2 ნაფიცო მსაჯულობის კანდიდატთა დასაბუთებული აცილება***

დასაბუთებული აცილების შესახებ შუამდგომლობა დგება მხარეების მიერ და მისი რაოდენობა განუსაზღვრელია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ანუ დასაბუთებული აცილების შესახებ შუამდგომლობის ფარგლებში ორივე მხარეს შესაძლებლობა აქვს მოითხოვოს ნებისმიერი რაოდენობის მსაჯულობის კანდიდატთა საქმიდან ჩამოშორება. როგორც თავად ტერმინიდანაც გამომდინარეობს, კანონი მოითხოვს აღნიშნული შუამდგომლობის დასაბუთებას. ის გარემოებები კი, რომელთა საფუძველზედაც მოითხოვება კონკრეტულ კანდიდატთა დასაბუთებული აცილება, ანუ ხდება აღნიშნული შუამდგომლობის დასაბუთება - შეიძლება დაყვანილ იქნას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველზე, რომელიც მხარეებს დასაბუთების ფარგლებს უფართოებს და საშუალებას აძლევს მასში მოიაზრონ ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ნაფიცო მსაჯულობის კანდიდატის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას რისკის ქვეშ აყენებს და კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული. პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად, საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის ფარგლებში მოქცეული გარემოებები, რომლებითაც მხარეები ასაბუთებენ მსაჯულობის კანდიდატთა დასაბუთებული აცილების მოთხოვნას, არის შემდეგი:

- კანონთან წინააღმდეგობა - აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა კონკრეტული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი არ ემორჩილება კანონით დადგენილ მოთხოვნებს და გადანყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე
- ექსპერტის ცოდნის არ გაზიარება - ამ დროს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი არ ითვალისწინებს ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს, ან მას იზიარებს იმის მიხედვით, თუ რომელი მხარის მიერ მონვეულმა ექსპერტმა ჩაატარა ის
- გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის უგულვებლყოფა - მსაჯულობის კანდიდატს სჭირდება საქმეში არსებული ყველა ფაქტის დადასტურება შესაბამისი მტკიცებულებით და არ აღიარებს, კანონის იმ დანაწესს, რომელიც მხარეს თავისი პოზიციის არა ყველა ეჭვს, არამედ მხოლოდ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასაბუთებას სთხოვს.

აღნიშნული საფუძვლები არ არის ამომწურავი და მასში შეიძლება მოვიაზროთ ნებისმიერი რამ, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

#### **4.1.3 მსაჯულობის კანდიდატთა დაუსაბუთებელი აცილება**

დასაბუთებული აცილებისგან განსხვავებით, დაუსაბუთებელი აცილების შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა შეზღუდულია და მხარეებს მხოლოდ კანონით განსაზღვრული რაოდენობით შეუძლიათ მისი დაყენება, ამიტომ, მათ ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ტყუილებრალოდ არ გაიხარჯოს კანონით მინიჭებული ეს ბერკეტი<sup>62</sup> და ის უნდა გადაინახონ ისეთი მომენტებისთვის, როდესაც არ

---

<sup>62</sup> Nicora Guillermo, “Selección de jurados desde cero”, en Revista Pensamiento Penal, edición nro. 165, 3/3/2014 (ხელმისაწვდომია აქ: <http://incip.org/wp-content/uploads/Selecci%C3%B3n-de-jurados-desde-cero-Nicora-1.pdf>)

არსებობს საკმარისი საფუძველი დასაბუთებული აცილების შუამდგომლობის დასაყენებლად, რადგან დაუსაბუთებელი აცილების შუამდგომლობის დასაბუთება არ ხდება.

დაუსაბუთებელი აცილების შუამდგომლობის დაყენება ხდება დასაბუთებული აცილების შუამდგომლობების დაყენების შემდეგ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თითოეული მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება. თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს - ამ შემთხვევაში მხარეებს 10 დაუსაბუთებელი აცილების გამოყენების უფლება აქვთ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-10 ნაწილი). საქმეში რამდენიმე ბრალდებულის მონაწილეობისას კი, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განცხადების შესაძლებლობა ეძლევა. იგივე უფლება აქვს დაცვის მხარესაც. თუ რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განცხადების საკუთარ კვოტას, მისი გამოყენების უფლება მიენიჭება იმავე სამეში სხვა ბრალდებულს. ასეთ დროს, ბრალდების მხარე ისარგებლებს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების გამოყენების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-11 ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ დაუსაბუთებელი აცილების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირადაა მოწესრიგებული. არ არსებობს ერთი აზრი იმის შესახებ - მხარეებს უნდა ჰქონდეთ თუ არა მისი გამოყენების შესაძლებლობა, რადგან გამოიკვეთა შემთხვევები, როცა ისინი აღნიშნულ უფლებამოსილებას იყენებდნენ ბოროტად<sup>63</sup>. სწორედ, ამ მიზეზის გამო ზოგიერთმა ქვეყანამ საერთოდ უარი თქვა მხარეებისთვის დაუსაბუთებელი აცილების შესაძლებლობის მინიჭებაზე, ზოგმა კი, საგრძნობლად შემლუდა მისი გამოყენების კვოტა, რადგან შეინიშნებოდა ერთგვარი ტენდენცია, რომ მხარეები ხშირად იცილებდნენ გარკვეული პროფესიებისა და

<sup>63</sup> უინტერი ბახმაიერ ლ., დალი ჯერალდ ტ., „შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში“, 2013, გვ.30

უმცირესობების წარმომადგენლებს<sup>64</sup>, რასაც, თავის მხრივ, მივყავდით დისკრიმინაციულ სანქსიებამდე და იზრდებოდა მიკერძოებული ვერდიქტის მიღების რისკი. ინგლისსა და უელსში მხარეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დაუსაბუთებელი აცილების უფლებამოსილებით სარგებლობა, თუ ორივე მათგანი თანხმდება მის გამოყენებაზე ან როცა საქმე ეხება ეროვნული უსათრთხოებას და გენერალური პროკურორი ეთანხმება მის გამოყენებას<sup>65</sup> - ასეთ შემთხვევაში მიკერძოებული მსაჯულობის კანდიდატის ნათუც მსაჯულთა შემადგენლობაში მოხვედრის საშიშროება უფრო ნაკლებია.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. მართალია, დაუსაბუთებელი აცილების გამოყენება, რაოდენობის გარდა, სხვა კრიტერიუმით არ არის შეზღუდული, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მხარის მიერ დაუსაბუთებელი აცილებით სარგებლობა ემსახურება რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას, მას შეუძლია არ დააკმაყოფილოს დაყენებული შუამდგომლობა და მხარეს უარი უთხრას კონკრეტული კანდიდატის დაუსაბუთებელ აცილებაზე. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება საქართველოში მომხდარ რეალურ შემთხვევას, როცა მოსამართლემ მხარეს უარი უთხრა დაუსაბუთებელი აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და, ამ მხრივ, შექმნა ერთგვარი პრეცედენტი. მართალია, ამ მაგალითით დადასტურდა, რომ საქართველოში მხარეების მიერ დაუსაბუთებელი აცილების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საშიშროება შეძლებისდაგვარად მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც მისასალმებელია, თუმცა, აუცილებელია აღნიშნული საკითხის სხვა კუთხითაც განხილვა. მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილებით ჩამოაყალიბა ახალი მიმართულება, რაც გულისხმობს დაუსაბუთებელი აცილების შესახებ შუამდგომლობის არ დაკმაყოფილებას და საკითხავია, თუ რამდენად მოდის ის დაუსაბუთებელი აცილების არსთან თანხვედრაში, რადგან დაუსაბუთებელი აცილება თავისი ბუნებით

---

<sup>64</sup> უინტერი ბახმაიერ ლ., დალი ჯერალდ ტ., „შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში”, 2013, გვ.62

<sup>65</sup> უინტერი ბახმაიერ ლ., დალი ჯერალდ ტ., „შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში”, 2013, გვ.62

გულისხმობს სწორედ იმას, რომ მხარეს კანონი აძლევს შესაძლებლობას დასაბუთების გარეშე აიცილოს ნებისმიერი კანდიდატი. იმის შესახებ - მისი ეს მოთხოვნა ყველა შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლში, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება, არაფერია ნათქვამი. მიუხედავად ამისა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეს დაუსაბუთებელი აცილების შუამდგომლობის დაყმაყოფილებაზე უარი ეთქვა მსაჯულობის კანდიდატისადმი დისკრიმინაციული მიდგომის საფუძვლით, რაც ამართლებს დაუსაბუთებელი აცილების შესახებ შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ფაქტს, რადგან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლენა ყოველთვის უნდა აღიკვეთოს (დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი). თუმცა, სხვა ყველა შემთხვევაში, როდესაც ვერ ხდება ზუსტად იმის განსაზღვრა მხარე იყენებს თუ არა ბოროტად მისთვის მინიჭებულ ამ უფლებამოსილებას, მისი მოთხოვნა დაუსაბუთებელ აცილებაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

#### ***4.2 მსაჯულობის კანდიდატთა ინტეგრაცია ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში***

დაყენებული აცილების შესახებ შუამდგომლობების განხილვისა და შეფასების შემდეგ მოსამართლე დარჩენილი მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს, როგორც სათადარიგო ნაფიცი მსაჯული (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მსაჯულობის კანდიდატების ნაფიც მსაჯულად დანიშვნა ხდება ე.წ. განმწესრიგებელ სხდომაზე, რომელიც იმართება შერჩევის სხდომის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განმწესრიგებელი სხდომა პირდაპირ არ არის მოხსენიებული. მართალია, მსაჯულობის კანდიდატების ნაფიც მსაჯულად დანიშვნას ცალკე მუხლი აქვს დათმობილი და ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლი, მაგრამ აღნიშნული მუხლიდან რთულია იმის გარკვევა, კანდიდატების ნაფიც მსაჯულად დანიშვნა სხვა სხდომაზე ხდება, თუ შერჩევის სხდომაზევე. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნული საკითხი უფრო გასაგებად იქნება მოწესრიგებული, გაურკვევლობების თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება სათადარიგო ნაფიც მსაჯულს - ის ესწრება სასამართლო სხდომას, მაგრამ მას არა აქვს უფლება გამოხატოს თავისი აზრი ან გავლენა მოახდინოს სხვა ნაფიც მსაჯულებზე. სათადარიგო ნაფიცი მსაჯული მხოლოდ მაშინ იღებს მონაწილეობას სასამართლო თათბირსა და კენჭისყრაში, თუ ის შეცვლის რომელიმე ნაფიც მსაჯულს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ კი იწყება საქმის არსებითი განხილვა, რომელიც უნდა იყოს მისი დასრულებიდან არაუგვიანეს მესამე დღისა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 224-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

## **თავი 5. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა მიუკერძოებლობის გარანტიები**

### ***5.1 კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები***

აღბათ არავისთვის აღარ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მთავარი მიზანი მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულის - ანუ ისეთი ნაფიცი მსაჯულის არჩევაა, რომელიც არ მოექცევა არცერთი მხარისა თუ სხვა ნებისმიერი გარემოების ზეგავლენის ქვეშ და მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ობიექტურად შეაფასებს.<sup>66</sup>

საინტერესოა ის მექანიზმები, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობა ცდილობს მიაღწიოს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის გარანტიის უზრუნველყოფას მხარებისთვის შერჩევის ეტაპზე. ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, მათთვის აცილების უფლებამოსილების მინიჭებაა - როგორც დასაბუთებული, ისე დაუსაბუთებელი აცილების, რომლის არ გამოყენებაც აშკარად სტრატეგიული შეცდომა იქნებოდა ორივე მხარისთვის. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლში, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს სისხლის

---

<sup>66</sup> Velasco P. de P., „Factores extralegales que influyen en la toma de decision de los miembros del jurado”, Cuadernos de Politica Criminal, n.50, 1993, pp. 657-659

სამართლის პროცესში სხვა მითითებულ პირებთან ერთად ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს, ერთ-ერთ საფუძვლად პირდაპირ არის მითითებული სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის, ანუ ჩვენს შემთხვევაში - ნაფიცი მსაჯულის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). აქედან გამომდინარე, შერჩევის სხდომის მსვლელობისას თუ გამოიკვეთა რაიმე ფაქტი, რაც მხარეებს აძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ რომელიმე მსაჯულობის კანდიდატი იქნება მიკერძოებული და ობიექტურად არ შეაფასებს პროცესის მსვლელობისას წარმოდგენილ ფაქტებს - მხარეებს შეუძლიათ დაუბრკოლებლად გამოიყენონ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით მინიჭებული შესაძლებლობა და დააყენონ აღნიშნული კანდიდატის აცილების საკითხი. ასევე, მიუკერძოებლობის გარანტიად უნდა ჩაითვალოს თვითაცილების უფლებაც, რომელსაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თავად მსაჯულობის კანდიდატს ანიჭებს, რაც, როგორც უკვე განიმარტა - გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულობის უფლებამოსილების განხორციელებაში, შეუძლია თავად მოითხოვოს საქმიდან ჩამოშორება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილი). აღნიშნულ გარემოებაში კი თავისუფლად შეიძლება მოვიაზროთ ნებისმიერი ის ფაქტიც, რაც მსაჯულობის კანდიდატის აზრით - იქნება მისი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის დამაბრკოლებელი ფაქტორი. ასე რომ, როცა საქმე ეხება პოტენციური ნაფიცი მსაჯულის მიკერძოებისა და არაობიექტურობის საფრთხეებს, როგორც თავად მსაჯულობის კანდიდატებს, ისე მხარეებს აქვთ უფლება განაცხადონ ამის თაობაზე.

კიდევ ერთი საშუალება, რითიც მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ მსაჯულობის კანდიდატების მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის საკითხი არის მათთვის უშუალოდ კითხვების დასმა - რაც შეიძლება მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლი მსაჯულობის კანდიდატებს პირდაპირ აკისრებს მათთვის დასმული კითხვებისთვის სწორი და ამომწურავი პასუხების გაცემის ვალდებულებას, რაც გულისხმობს იმას, რომ

მსაჯულობის კანდიდატმა არამხოლოდ სრული პასუხი უნდა გასცეს მისთვის დასმულ კითხვებს, არამედ მას ასევე მოეთხოვება წარმოადგინოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მსაჯულობის კანდიდატებისთვის დაკისრებული ეს ვალდებულება საკმაოდ კარგი შესაძლებლობაა მხარეებისთვის გამოიყენონ ის თავიანთ სასარგებლოდ. თუმცა - გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაუშვებელია მსაჯულობის კანდიდატთათვის ისეთი შეკითხვების დასმა, რომელიც ხელყოფს მათ პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-4 ნაწილი გამონაკლისის სახით აღნიშნული წესიდან გადახვევას ითვალისწინებს და მხარეებს აძლევს საშუალებას მაინც დასვან ასეთი კითხვები, თუ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისათვის და მასში შეიძლება მოვიპოვოთ ისეთი შემთხვევაც, როცა მსაჯულობის კანდიდატის მიუკერძოებლობის საკითხი ეჭვის ქვეშ დგას, რაც მხარეებმა უნდა დაასაბუთონ. თუ მართლმსაჯულების ინტერესები მსაჯულობის კანდიდატისგან ისეთი ინფორმაციის მიღების აუცილებლობას მოითხოვს, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს - კანონი ამ შემთხვევაში იცავს მსაჯულობის კანდიდატს და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას მხოლოდ სხდომის თავმჯდომარისა და მხარეებისთვის აკისრებს. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მხარეებისთვის ყველაზე ხელსაყრელი გზა ამგვარი ინფორმაციის მისაღებად უდავოდ კითხვარებია, რადგან, როგორც აღნიშნული საკითხის განხილვისას ითქვა, მსაჯულობის კანდიდატები სხვა პირების თანდასწრების გარეშე უფრო თამამად და გულწრფელად სცემენ მათთვის სენსიტიურ და უხერხულ კითხვებს პასუხებს და მხარეებიც მარტივად შეძლებენ კითხვარების მეშვეობით მათი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის საკითხის განსაზღვრას.

გარდა ამისა, მსაჯულობის კანდიდატების მიუკერძოებლობის დამატებით გარანტიად, ასევე, ითვლება მათთვის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებებისა და

განმარტებების გაკეთება მათი როლისა და მოთხოვნების შესახებ.<sup>67</sup> მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ მსაჯულობის კანდიდატებთან გასაუბრებისთვის მათთვის განკუთვნილი დრო და კანდიდატებს აუხსნან მათი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მნიშვნელობა გადანყვეტილების მიღებისას.

ის ფაქტორები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიუკერძოებლობაზე არ არის ამომწურავი, რაზეც პირდაპირ მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიც და, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მათი ინდივიდუალურად დადგენა. ისინი შეიძლება იყოს: პროცესის რომელიმე მონაწილესთან კანდიდატის ნათესაური, ოჯახური, პროფესიული სახის კავშირი, რაც პირდაპირაა განსაზღვრული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით, ისე სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც უშუალოდ არაა მითითებული, მაგრამ წარმოქმნის მსაჯულობის კანდიდატის მიუკერძოებლობაში დაეჭვების ობიექტურ საფუძველს, მაგალითად: კანდიდატის დამოკიდებულება ბრალდებულის ეროვნების ან მისი სხვა ჯგუფისადმი კუთვნილების მიმართ, წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ და სხვ.<sup>68</sup> თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ფაქტორის არსებობა აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ მსაჯულობის კანდიდატი მიკერძოებული იქნება და ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მისი არსებობა მოცემულ პირობებში საფრთხეს შეუქმნის თუ არა მსაჯულობის კანდიდატის მიუკერძოებლობის გარანტიებს.<sup>69</sup> ამაზე მეტყველებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებიც მსგავს საქმეებზე - მხოლოდ ის ფაქტი, რომ მსაჯულობის კანდიდატს გარკვეული სახის კავშირი აქვს პროცესის რომელიმე მონაწილესთან ვერ გახდება მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, თუ არ

<sup>67</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ. 14

<sup>68</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ. 14-15

<sup>69</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ. 15

არსებობს სხვა დამატებითი გარემოებებიც, რომლებიც ამას ადასტურებენ. ეს შეიძლება იყო თავად კანდიდატის მიერ გამოთქმული განცხადებები, რაც პირდაპირ მიუთითებს მის მიუკერძოებლობაზე ან შესაბამისი დასკვნის გამოტანის საკმარის საფუძველს იძლევა.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ კანონით განსაზღვრული ისეთი ბერკეტი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ნაფიცის მსაჯულის მიუკერძოებლობის გარანტიას და მხარეებს მისცემს შესაძლებლობას წინასწარ ზუსტად განსაზღვრონ, თუ რომელი მსაჯული იქნება მიუკერძოებელი - არ არსებობს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირი კონფიდენციალურია, როგორც წესი, შეუძლებელია იმის დადგენაც - ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება ფაქტებსა და კანონებზე დაყრდნობით მიიღეს, თუ ადგილი ჰქონდა მიკერძოებას.<sup>70</sup> ანუ, ზუსტად ვერც იმას დავადგენთ - რამდენად სწორად განსაზღვრეს მხარეებმა მსაჯულობის კანდიდატთა მიკერძოების საკითხი შერჩევის პროცესში და რამდენად სწორი იყო მათ მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები თითოეულ მსაჯულთან მიმართებით. ამიტომ, მხარეებს ისლა დარჩენიათ მაქსიმალური დაკვირვებით მიუდგინენ კანდიდატებზე ინფორმაციის მოპოვების პროცესს, მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და გამოკვეთონ ის გარემოებები, რაც დაეხმარებათ მსაჯულობის კანდიდატთა მიკერძოება/მიუკერძოებლობის საკითხის დაგენასა და ამის საფუძველზე შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებაში.

## ***5.2 მედიის გავლენა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესზე***

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებისთანავე მედია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მის მიმართ და, შეძლებისდაგვარად, აქტიურად არის დაკავებული ნაფიცის მსაჯულების მიერ განსახილველი საქმეების გაშუქებით, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რელიზებას აყენებს რისკის ქვეშ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - საფრთხეს უქმნის საქმის ობიექტური და მიუკერძოებელი განხილვის უზრუნველყოფას. მართლაც, კონკრეტული საქმის მედია საშუალებებით გაშუქების

---

<sup>70</sup> უინტერი ბახმაიერ ლ., დალი ჯერალდ ტ., „შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში“, 2013, გვ.30

შედეგად, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს შეიძლება გარკვეული წინასწარი წარმოდგენა ჩამოეყალიბდეთ ბრალდებულის უდანაშაულობა/დამნაშავეობის საკითხზე ან საქმეში არსებულ ნებისმიერ სხვა გარემოებაზე, რამაც განაპირობოს ის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მათ იხელმძღვანელონ უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრებით და არა სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ფაქტებით. სრულიად შესაძლებელია მოხდეს ისიც, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება დაუკავშირონ საქმეში არსებულ რომელიმე მტკიცებულებას და მიიღონ ისეთი დასკვნა, რომელიც აცდენილია რეალურ სურათს. აქედან გამომდინარე, მართლაც არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ბრალდებულის სამართლიანი განხილვის უფლება შეიზღუდოს და ვერ იყოს სათანადოდ გარანტირებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, რომ მათზე გავლენა არ იქონიოს მედია საშუალებებით გაშუქებულმა ინფორმაციამ და, შესაბამისად, არ გაუჩნდეთ წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია რომელიმე მხარის სასარგებლოდ ან საზიანოდ, სრულიად დასაშვებად მიიჩნევა ასეთ შემთხვევებში სასამართლოს მიერ ინფორმაციის გაშუქების აკრძალვის დაწესებას.<sup>71</sup> მართალია, აღნიშნული აკრძალვა იწვევს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, რადგან ყველას აქვს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება საჯარო ხელისუფლების ჩარევისა და საზღვრების მიუხედავად (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი), მაგრამ ევროპული სასამართლო ინფორმაციის გაშუქების აკრძალვის დაწესებით დასაშვებად მიიჩნევა აღნიშნული უფლების განხორციელების შეზღუდვას, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობის შენარჩუნებისთვის.<sup>72</sup>

<sup>71</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ.25

<sup>72</sup> მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017, გვ.24

სამწახაროდ, საქართველოს კანონმდებლობა ასეთ რეგულაციას, რაც მოსამართლეს მინიჭებდა ინფორმაციის გაშუქების აკრძალვის დაწესების შესაძლებლობას, არ ითვალისწინებს. ერთადერთი ბერკეტი, რისი გამოყენების შესაძლებლობაც მას აქვს, თუ საფრთხე ექმნება საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფას - მასმედით მისი ინტესიური გაშუქებისა ან მისდამი კონკრეტულია ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გამო, არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვა სასამართლოში გადატანის შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის დადგენილი ტერიტორიული განსჯადობის დაცვით. ამისთვის საჭიროა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობაც (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

საინტერესოა, რა შესაძლებლობების გამოყენების საშუალება აქვთ მხარეებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის მიმდინარეობის დროს, რომ მათ შეძლონ ისეთი მსაჯულობის კანდიდატების გამოვლენა, რომლებიც ე.წ. რისკის ჯგუფში არიან, ანუ რომლებზედაც შეიძლება გავლენა იქონიოს მედიაში გავრცელებულმა ინფორმაციამ და მათ ამის მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილება. ერთ-ერთი ასეთი უფლებამოსილება, რა თქმა უნდა, კითხვების დასმაა. მხარეები მაქსიმალურად უნდა შეეცადონ იმის დადგენას, რომელიმე მსაჯულობის კანდიდატს ხომ არ აქვს ინფორმაცია განსახილველი საქმის შესახებ და ამის გამო ხომ არ აქვს წინასწარი განწყობა შექმნილი ბრალდებულის დამნაშავეობა/უდანაშაულობის მიმართ შემდგომში მათი აცილების მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოთვლილი საკითხების გაგება კითხვარების საშუალებით უფრო მოსახერხებელი შეიძლება იყოს, რადგან არ არის გამორიცხული მსაჯულობის კანდიდატებმა ასეთი ფორმით უფრო გულწრფელად უპასუხონ აღნიშნულ კითხვებს.

გარდა ამისა, ორივე მხარემ რაც შეიძლება გასაგებად უნდა განუმარტოს მსაჯულობის კანდიდატებს, რომ დაუშვებელია სასამართლო დარბაზს გარეთ მოპოვებული ინფორმაციით ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღებისას და მასზე დაყრდნობა.

მეორეს მხრივ, კონკრეტული საქმის მედია გაშუქება იმთავითვე არ ნიშნავს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისთვის ხელის შეშლას და არ

იძლევა პირდაპირ იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ინფორმაციის მედია საშუალებებით გასაჯაროების გამო ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობას შეექმნება საფრთხე. სწორედ, საკითხის ამგვარ განმარტებას იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (მუსტაფა კამალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ) და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სამართლიანი სასამართლოს ჩატარება მაინც შესაძლებელია ინტენსიური მედია გაშუქების შემდეგაც. სასამართლო განმარტავს, რომ დემოკრატიის პირობებში შეუძლებელია რეზონანსულმა საქმემ არ მიიპყროს მედიის ყურადღება, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი მედია გამოხმაურების პირობებში აუცილებლად ადგილი ექნება სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას.<sup>73</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, მხოლოდ საქმის მედია საშუალებებით გაშუქების ფაქტი ვერ გახდება მიუკერძოებლობის საფრთხის არსებობის დამდასტურებელი საფუძველი, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადასტურდეს რომ აღნიშნული ფაქტი ხელს შეუშლის საქმის სამართლიან და ობიექტურ განხილვას.

## დასკვნა

როგორც საკითხის განხილვამ აჩვენა, არ არსებობს სრული გარანტია იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უზრუნველყოფილი იყოს საქმის სამართლიანი განხილვით. ყველაფერი დამოკიდებულია ნაფიცი მსაჯულების სწორ შერჩევაზე, რასაც მივყავართ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის ღრმა შეფასებამდე, რადგან, სწორედ, ამ ეტაპზე ხდება ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობის ფორმირება, რომელზედაც დამოკიდებულია სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილების მიღების ბედი. ადეკვატური შედეგის მისაღებად კი, ეჭვგარეშედ, საჭიროა ნაშრომში განხილული შერჩევის მეთოდების გათვალისწინება და მათი შედეგების დაგვარად გამოყენება.

---

<sup>73</sup> დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

<https://ukhumanrightsblog.com/2011/02/08/radical-cleric-european-human-rights-claim-rejected/>

(განახლებულია 05.07.2019)

იქიდან გამომდინარე, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების გასაცნობად მცირე დროა გამოყოფილი - მათზე საკმარისი ინფორმაციის მოსაპოვებლად, უფრო მეტი ყურადღების გამოჩენა და კონცენტრირებაა აუცილებელი. აღნიშნული დაბრკოლებისთვის თავის დაღწევის ერთ-ერთი შესაძლო გზა, როგორც შესაბამისი საკითხის განხილვისას ითქვა, წინარე კითხვარებია. სხვა მხრივ კი, ორივე მხარის მონდომებასა და მომზადების დონეზე დამოკიდებული წარმატებული შერჩევის სხდომა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეებს არ დარჩენიათ სხვა გზა, გარდა არსებულ რესურსებთან თანხვედრაში მყოფი იმპროვიზაციისა და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებზე - წინამდებარე ნაშრომში გამოკვეთილი წესებისა თუ მითითებების გათვალისწინებით - კვალიფიციური ინფორმაციის მოპოვების, რასაც, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ისეთი ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების ინტეგრაცია, რომლებიც განსხვავებული ხასიათისა თუ შეხედულებების ქონის მიუხედავად - ყოველმხრივ ობიექტურად გამოიკვლევენ განსახილველი საქმის გარემოებებს და მიიღებენ ერთადერთ და სწორ გადაწყვეტილებას.

ასევე, მისასალმებელი იქნება, თუ ნაშრომში აღნიშნული რეკომენდაციები ასახული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კანონმდებლობის დახვეწისა და მისი უფრო მეტად სრულყოფის მიზნით.

## **ბიბლიოგრაფია:**

### ***ქართული სამეცნიერო ლიტერატურა:***

1. უინტერი ბახმაიერ ლ., დალი ჯერალდ ტ., „შედარებითი ანალიზი: არაპროფესიონალ მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის სისტემები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში“, 2013
2. მაკბრაიდი ჯ., „საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მუშაობის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან“, თბილისი, 2017

3. ავტ.კოლექტივი, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015
4. ავტ. კოლექტივი, „სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევებში“, თბილისი, 2012

**უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა:**

1. Penna Cristian D., “Lineamientos para litigar”, Buenos Aires, 2014
2. Nicora Guillermo, “Selección de jurados desde cero”, en Revista Pensamiento Penal, edición nro. 165, 3/3/2014 (ხელმისაწვდომია აქ: <http://inecip.org/wp-content/uploads/Selecci%C3%B3n-de-jurados-desde-cero-Nicora-1.pdf>)
3. Maier Julio B.J., “Delitos de lesa humanidad, de funcionarios publicos y sistema judicial en materia penal”, Buenos Aires, 2013
4. Sanjurjo Rebollo B., „Jurados en USA y en Espana: dos contenidos distintos para una misma expresion”, Dykinson, Madrid, 2004
5. C. Barry Montgomery, Bradley C. Nahrstadt, „Worth the effort: Some thoughts on Jury Selection”, Trial Tactics, 2007
6. Sidonie Porterie, Aldana Romano, „El poder del jurado: descubriendo el juicio por jurados en la Provincia De Buenos Aires", Buenos Aires, 2018
7. Hans V.P., Vidmar N., „Judging the jury”, New York: Plenum Press, 1986
8. Zeisel H., „The diminution of federal jury”, University of Chicago Law Review, n.35, 1971
9. Hans V.P., Vidmar N., „Jury selection”, The psychology of the courtroom, New York: Academic Press, 1982
10. Arce R., Farina F., Sobral J., „Verdicts of psychosocially biased juries”, Psychology and Law, Berlin, 1992
11. Arce R., Farina F., Sobral J., „From juror to jury decision making. A non model approach”, Psychology, law and criminal justice, Berlin, 1996

12. Janis I. J., „Victims of groupthink”, Boston: Houghton Mifflin, 1972
13. Graciano S. J., Panter A.T., Tanaka J.S, „Individual differences in information processing strategies and their role in juror decision making and selection”, Forensic reports, 1990
14. Pennington N., Hastie R., „Evidence evaluation in complex decision making”, Journal of Personality and Social Psychology, n.51, 1986
15. Hastie R., Penrod S., Pennington, „Inside the jury”, Harvard University Press, Cambridge, 1983
16. Peter A. Joy, „Race matters in jury selection”, Northwestern University Law Review, Vol.109, 2015
17. Tate E., Hawrist E., Clark S., „Communication variables in jury selection”, Journal of Communication, n.3, 1974
18. Velasco P. de P., „Factores extralegales que influyen en la toma de decision de los miembros del jurado”, Cuadernos de Politica Criminal, n.50, 1993
19. Velasco P. de P., „La investigacion psicologica de la decision del jurado”, Anuario de Psicologia Juridica, n.10, 2000
20. Velasco P. de P., „El Tribunal del Jurado desde la Psicologia Social”, Ley Organica, Madrid, 1995
21. Perez N. M., Fernandez A. R., Martinez S. D., „El tribunal del jurado en Estados Unidos, Francia y Espana: Tres modelos de participacion en la administracion de justicia. Implicaciones para la educacion del ciudadano”, Editorial Universidad de Granada, 2002
22. Penalver T., „Juicio por jurados: Veredicto de Culpabilidad y Determinacion de la Pena”, Editorial Jusbaire, Buenos Aires, 2018
23. Saks M., Marti M., „A Meta-Analysis of the Effect of Jury Size”, Law and Human Behaviour, Volume 21, 1997
24. Heur L., Penrod S., „Increasing juror participacion in trials through note taking and question asking”, Judicature, Volume 79, n.5, 1996

25. Olzack P. V., Kaplan M., Penrod S., „Attorney’s Lay Psychology and its Effectiveness in selecting Jurors: Three Empirical Studies”, Journal of Social Behaviour and Personality, Volume 6, n.3, 1991
26. Manzo J. F., „Jurors narratives of personal experience in deliberation talk”, Interdisciplinary Journal for the Study of Discourse, Volume 13, Issue 2, 1993
27. Casanovas P., „Pragmatica de las decisiones judiciales: diferencias de razonamiento y lenguaje ante el jurado”, Cuadernos de Derecho Judicial, n.16, 1997
28. Toharia J. J., „Sistema judicial y cultura juridica en Espana (1975-2000)”, en Fix-Fierro H., Friedman R., Perez P., Culturas juridicas latinas en Europa y America en tiempos de globalizacion, 2003
29. Simon H.A., „Naturaleza y limites de la razon humana”, Mexico, 1989
30. Sobral J.A., Arce R., Prieto A., „Manual de Psicologia Juridica”, Paidos, Barcelona, 1994
31. Diamond S.S., „Scientific jury selection: what social scientist know and do not know”, Judicature, Volume 73, n.4, 1990
32. Broeder D., „Voir Dire examination: An empirical study”, Southern California Law Review, n.38, 1965
33. Balch R.W., Griffiths C.T., Hall E.L., Winfree L.T., „The socialization of jurors. The voir dire as a rite of passage”, Journal of Criminal Justice, n.4, 1976
34. Fulero, Penrod S., „Attorney jury selection folklore: What do they think and how can psychologists help?”, Forensic reports, 1990

***ქართული ნორმატიული მასალა:***

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2019 წლის 24 ივნისის მდგომარეობით)
2. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი (2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით)
3. საქართველოს კონსტიტუცია (2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით)
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით)

**უცხოური ნორმატიული მასალა:**

1. Ley 14543 Artículo 338 bis (2019 წლის 25 ივნისის მდგომარეობით)
2. Ley 26206 Artículo 16 (2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით)
3. The sixth Amendment (2019 წლის 28 ივნისის მდგომარეობით)

**დამატებითი მასალა:**

1. <https://www.britannica.com/event/O-J-Simpson-trial> (განახლებულია 14.06.2019)
2. <https://www.latimes.com/archives/la-xpm-2001-jun-03-me-6028-story.html>  
(განახლებულია 09.07.2019)
3. <https://ukhumanrightsblog.com/2011/02/08/radical-cleric-european-human-rights-claim-rejected/> (განახლებულია 05.07.2019)